ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 16 მარტი, 2017 №63 (7298) ფასი: 50 თეთრი

## მერაბ ლოლობერიძე: „კახა ბუხრაძის გადადგომისთვის მუშაობას დავიწყებ“



გვ.3

13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

დასახვრეტი საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# „ელისო კილაძის და ხატია დეკანოიძის შვილებს ნარკოტიკი შეიძლება ჩაუდეს“





გვ.7

## გელა ნიკოლაიშვილი: „ჩადების“ ტენდენცია გაძლიერდა“



გვ.2

## ელისო კილაძის შვილს, დავით ხარშილაძეს, წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



## „საქართველოში შესაძლოა რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი დაიწყოს“

გვ.2



## თბილისი რუსულ აგრესიას კიდევ ერთხელ გმობს

„ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივ ანექსიას ითვალისწინებს, არის მიუღებელი და ნებისმიერ ასეთ ნაბიჯს ვგმობთ“.

ცხინვალის შსს კოკოითის დაემუქრა



გვ.5



გვ.3

## რამაზ საყვარელიძე: „ახალ პოლიტიკურ კონფიგურაციას არ ველოდები“

„კმაყოფილი ოპოზიცია სადმე არსებობს?! ოპოზიცია იმის ოპოზიციაა, რომ ყველაფრით უკმაყოფილო იყოს და ხალხს უთხრას, რომ ის უკეთესად გააკეთებდა, ვიდრე ხელისუფლებამ გააკეთა, მაგრამ ეს არა მხოლოდ უნდა უთხრას, დააჯეროს კიდეც. ჩვენთან რამდენად ახერხებს ამას ოპოზიცია, ეს მეორე საკითხია“

ISSN 1987-9385

## საქართველოსა და უკრაინას უჭირთ რუსეთთან ბრძოლა საერთაშორისო სასამართლოებში

გვ.5



2008 წელს რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევაც განახორციელა

# „საქართველოში შესაძლოა რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი დაიწყოს“

შორენა მარსაგიშვილი

ვის ინტერესებშია საქართველოში ახალი დაძაბულობის კერების შექმნა, რა მიმართულებაზე მუშაობენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები, რა ერთობლივი გეგმა მოიფიქრეს მოსკოვმა და ერევანმა? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

***— თქვენ არაერთხელ გააკეთეთ განცხადება იმის შესახებ, რომ გარე ძალები საქართველოს რამდენიმე კუთხეში აპირებენ არეულობის მოწყობას. არის თუ არა ამ გეგმის ნაწილი ის, რაც 11-12 მარტის ღამით მოხდა ბათუმში?***

— ამ თემაზე ზოგიერთი პოლიტიკოსის მსგავსად მკითხაობას არ დავიწყებ. ის, რაც ბათუმში მოხდა, ხელისუფლებისთვის ძალიან სერიოზული სიგნალი უნდა იყოს. თავიდან ყველაფერს პროტესტის ჩვეულებრივი ფორმა ჰქონდა. მერე კი ამაში ყველა ჩაერია და ქვეყანა სერიოზულ საფრთხეს გადაურჩა.

ამ მოვლენების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ქვეყნის გარეთ ამჟღავნებდნენ. სადღაც საღამოს 8 საათზე, როცა ბათუმში ისეთი არაფერი ხდებოდა, სტამბოლიდან ჩვენმა ჩერქეზმა მეგობრებმა დაგვირეკეს და შეშფოთებულებმა გვკითხეს, საქართველოში რა ხდებაო.

***— რატომ მოგეჩვენათ თქვენი მეგობრების კითხვა საეჭვოდ?***

— იმიტომ, რომ იმ დროს ბათუმში ისეთი არაფერი ხდებოდა. სტამბოლში კი იმაზე საუბრობდნენ, რომ აქ დიდი არეულობა იყო. ამის საშიშროების წინაშე მართლაც იდგა საქართველო. იყო იმის ალბათობა, რომ მოსახლეობას და სპეცრაზმს შორის მომხდარიყო შეჯახება, რაც, შესაძლოა, მსხვერპლით დასრულდებოდა. ამის შემდეგ ხალხს უკვე ველარ გააჩერებდნენ.

გონივრული ეჭვი გვაქვს, რომ გარე ძალებსაც და შინაურ მტრებსაც გათვლა მოვლენების ასეთ განვითარებაზე ჰქონდათ. საქართველოს მოსახლეობის გარდა, აჭარის რეგიონში სიტუაციის არევა ყველას უნდა. ამ შემთხვევაში მათ სასურველი შედეგი ვერ მიიღეს.



**ზაალ კასრელიშვილი: „მოსკოვმა სომხეთთან ერთად მზაკვრული გეგმა მოამზადა“**

***— რაკი სასურველი შედეგი ვერ მიიღეს, ალბათ კიდევ სცდიან ბედს.***

— აუცილებლად შეეცდებიან მორიგი არეულობის მოწყობას. ეცდებიან, რომ მათთვის სასურველი შედეგი დადგეს.

***— სასურველი შედეგი რა არის?***

— მსხვერპლი, რასაც აჭარის რეგიონში პრორუსული ძალების გააქტიურება მოჰყვებოდა. ისინი ასლან აბაშიძის დროინდელ მოთხოვნებს გააჟღერებდნენ და მოითხოვდნენ უფრო მეტ ავტონომიას. უკან არც პროთურქული ორიენტაციის ხალხი დაიხევდა. ისინი აუცილებლად იტყოდნენ, რომ მათ რელიგიური ნიშნით ავიწროვებენ.

პრორუსულების და პროთურქულების აქტიურობას შეეწირებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები. ხელისუფლებას იძულებულს გახდიდნენ, ბევრი რამ დაეთმო. ეს უკეთეს შემთხვევაში.

***— უარეს შემთხვევაში რა მოხდებოდა?***

— უარეს შემთხვევაში რესპუბლიკის სტატუსი და გამოყოფა.

***— როცა საქართველოში მოსალოდნელ არეულობაზე საუბრობდით, რამდენიმე რეგიონი დაასახელეთ. ერთ-ერთი მათგანი იყო ჯავახეთი. რამდენიმე სომეხი პოლიტიკოსი უკვე წლებია, საქართველოდან ამ კუთხის გამოყოფას ითხოვს. ეს საკითხი ისევ აქტუალური ხომ არ გახდება?***

— საქართველოში სხვა ქვეყნების ინტერესები შენელებული მოქმედების ნაღმების სახით დევს. საუბარია აჭარაზე, ქვემო ქართლსა და ჯავახეთზე.

ქვემო ქართლში სიტუაციის დაძაბვის მცდელობას უკვე ჰქონდა ადგილი. ეს შარშანდელი არჩევნების წინ მოხდა. კავკასიის ხალხთა კონფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს ამბავი არ მომხდარიყო. ჩვენ ვიცოდით იმ ადამიანების ვინაობა, რომლებიც ამ პროცესებს მართავდნენ.

***— მართვაში რას გულისხმობთ?***

— ეს ადამიანები აღვივებდნენ შუღლს და აფინანსებდნენ ამ პროცესს.

***— შეგიძლიათ მათი ვინაობის დასახელება?***

— როგორ არ შემიძლია. კონკრეტულ სახელებს და გვარებს საგამოძიებო უწყებებს ვეტყვით, მედიისთვის კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ეს ადამიანები რუსეთში მცხოვრები და ამ ქვეყნის მოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან.

ამ მხარეში დაპირისპირება არც ბაქოს ინტერესებში შედიოდა. იქედან არჩევნების მეორე ტურში 2 მაღალჩინოსანი ჩამოვიდა და ყველაფერი გააკეთეს, რომ არეულობა არ მომხდარიყო. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ რეგიონში დაპირისპირება მოსალოდნელი არ არის.

გაცილებით რთული ვითარებაა ჯავახეთში. ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტს არც იქ ველოდებით. ამ მიმართულებით უფრო სერიოზული საფრთხეებია. ეს საფრთხეები გაიზრდება, რაც მეტად დაუახლოვდება საქართველო დასავლეთს.

***— რა საფრთხეებზე საუბრობთ და რატომ გგონიათ, რომ ეთნიკური კონფლიქტი არ იქნება?***

— დღევანდელ მსოფლიოში ეთნიკური კონფლიქტები რეზონანსული აღარ არის. განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე პოსტსაბჭოთა სივრცეს ეხება. მსოფლიომ იცის, თუ რა მარტივად ხდება ამ ნიადაგზე კონფლიქტის მოწყობა.

ამ შემთხვევაში ძალიან ვერაგულ ჩანაფიქრთან გვაქვს საქმე. სომხეთის ხელისუფლება რუსეთთან ერთად შეეცდება საქართველოს ხელისუფლებაში მათთვის სასარგებლო ხალხის მოყვანას. ისინი მათ დავალებებს პირნათლად შეასრულებენ. ეს კი უფრო საშიშია, ვიდრე ეთნოკონფლიქტი.

***— არის ამის საფუძველი საქართველოში?***

— როგორ არ არის. ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი აგენტია. პოლიტიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ საკუთარ სარგებელზე ფიქრობენ. ასეთ დროს კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არც ის დავივიწყოთ, რომ მოსახლეობას ძალიან უჭირს, გაჭირვებულის მოსყიდვა კი უფრო ადვილია.

ჩვენს ქვეყანას შესაძლოა პრობლემები ბევრი მიმართულებით შეექმნას. ყველაზე მეტად მე რელიგიურ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტები მაფიქრებს. ამ საფრთხეებზე ადრეც მისაუბრია, მაგრამ ახლა ეს საფრთხე გაცილებით უფრო რეალურია.

***— არის ქვეყანაში ამის საფუძველი?***

— სამწუხაროდ, საქართველოში ყველა ტიპის კონფლიქტისთვის ნოყიერი ნიადაგია შექმნილი. ჩვენ ქვეყანაში რამდენიმე რელიგიის ხალხი ცხოვრობს და შესაბამისად იოლი იქნება დაპირისპირების მოწყობა. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაო უკვე შესრულებულია.

ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარებაა, საიდანაც მხოლოდ ერთი გამოსავალია. ქვეყანას სჭირდება ძლიერი პოლიტიკური ელიტა და, რაც მთავარია, ხელისუფლება საქართველოს ინტერესებით უნდა მოქმედებდეს.

***— ეს ხელისუფლება არ მოქმედებს ქართული ინტერესებით?***

— სამწუხაროდ, არა. ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი სხვებისთვის ერთგულების დამტკიცებით არის დაკავებული. ზოგი პროდასავლურია, ზოგიც — პრორუსული. სანამ ისინი თავისი პროობით ამაყობენ, ქვეყანაში სხვადასხვა ქვეყნების აგენტურამ მოიკიდა ფეხი. აქედან გამომდინარე არ უნდა გაგვიკვირდეს თუ ბათუმის მოვლენები კიდევ სადმე განმეორდება.

ხელისუფლებამ ყველა რეგიონში უნდა გამოიჩინოს ყურადღება, მაგრამ აჭარა, ჯავახეთი და ქვემო ქართლი განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა იყოს აყვანილი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ წელს არჩევნები ტარდება და ასეთ დროს უფრო იოლია სიტუაციის არევა.

# ელისო კილაძის შვილს, დავით ხარშილაძეს, წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



გუშინ, 15 მარტს, გაზეთ „ქრონიკა +“-ის მთავარი რედაქტორის, ელისო კილაძის შვილს დავით ხარშილაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო.

ადვოკატი ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებას ითხოვდა. თავის მხრივ, პროკურატურა ხარშილაძის მიმართ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას შუამდგომლობდა.

საბოლოოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გაიზიარა პროკურატურის არგუმენტები და ელისო კილაძის შვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

თავად ელისო კილაძე ამ ფაქტს ფეისბუქზე გამოეხმაურა.

— ორთვიანი პატიმრობა, როგორც მოსალოდნელი იყო. ჩემი შვილი არის ბიძინა ივანიშვილის მძევალი. დღეიდან ჩემი ყველა დღე არის თითო აგური ამ ხელისუფლების დემონტაჟის გზაზე, — დაწერა ჟურნალისტმა.

ცოტა ხნის შემდეგ კი მან გამოაქვეყნა იმ პოლიციელების ვინაობა, რომლებმაც, მისი თქმით, მის ვაჟს ნარკოტიკი ჩაუდეს:

— პოლიციელები რომლებმაც ჩემს შვილს ნარკოტიკი ჩაუდეს. კუკური წივწივაძე, ვალერიან ჩიბირაშვილი, ზაქარია ვასაძე. შვილები მოარიდეთ — მათ დედებს და შვილებს უნდა შერცხვეთ !!! გააზიარეთ !!!!

გუშინვე დავით ხარშილაძემ შიმშილობა გამოაცხადა.

— გაურკვეველი რაღაც ნივთიერებები აღმოჩნდა ჩემს ჯიბეში, ეს მოხდა 3-4 წუთიან ინტერვალში, რა დროსაც მიწაზე ვიყავი სახით დაწოლილი, — განაცხადა დავით ხარშილაძემ.

მისი თქმით, დაკავების შემდეგ მას ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა არ მისცეს და შეუზღუდეს მხედველობა.

ხარშილაძე ვარაუდობს, რომ სამართალდამცველებმა მას ნარკოტიკული საშუალება სწორედ ამ დროს ჩაუდეს.

დავით ხარშილაძე სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

საქალაქო სასამართლომ შემდეგი განხილვა 18 აპრილს დაინიშნა.

# დავით უსუფაშვილი: „ვუსურვებ ამ პარლამენტს, ჩვენზე მეტი გააკეთოს“



— ვუსურვებ ამ პარლამენტს, მეტი გააკეთოს, ვიდრე ჩვენ მოვახერხეთ, თუმცა მეეჭვება. წინა მოწვევის პარლამენტში ანგარიშების მოსმენა იმიტომ არ გამოდიოდა, რომ ყველამ წინასწარ იცოდა, რა მოხდებოდა, ოპოზიციას ეს მომენტი ჩათვლილი ჰქონდა როგორც სკანდალების მოწყობის შესაძლებლობა, ხოლო უმრავლესობა თვლიდა, რომ ასეთ დროს ყველა ღონე უნდა ეხმარა, რომ მთავრობა ოპოზიციის შეტევებისგან დაეცვა.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომელიც გამოეხმაურა ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით ჩატარებულ კვლევას, რომელიც 20 წლის განმავლობაში პარლამენტის საქმიანობას ეხება.

უსუფაშვილის თქმით, ის ისურვებდა, რომ ახალმა პარლამენტმა უფრო მეტი გააკეთოს, ვიდრე წინა პარლამენტი აკეთებდა, თუმცა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ეჭვობს, რომ ეს საპარლამენტო უმრავლესობას არ გამოუვა საკონსტიტუციო უმრავლესობის ქონის გამო.

— საჭიროა ძალისხმევის გაერთიანება იმისთვის, რომ უშიშროების სამსახურები, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე მობილიზებული სამსახურები მთავრობის უსაფრთხოებას არ ემსახურებოდნენ.

ეს არის ძირითადი პრობლემა. მე მივესალმები რეკომენდაციებს რეგლამენტში ცვლილებების თაობაზე, კანონებში ცვლილებების შესახებ. ჩვენც კარგი რეფორმა განვახორციელეთ, როდესაც პოლიციის და უშიშროების სამსახურები გავყავით ერთმანეთისგან და ის მონსტრი, რომელიც მანამდე არსებობდა, დავშალეთ, მაგრამ ამ ერთი მონსტრის დაშლით თუ ორ მონსტრუკას მივიღებთ, ამით ბევრი არაფერი შეიცვლება.

ჩვენ ჩავდეთ მექანიზმი უშიშროების სამსახურის პარლამენტთან ანგარიშვალდებულების, დავადგინეთ უშიშროების სამსახურის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ, მაგრამ ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. თუ პარლამენტი ვერ შეძლებს იყოს პარლამენტი, სადაც ოპოზიციაც და უმრავლესობაც ერთად არიან მონდომებული, განახორციელონ საპარლამენტო კონტროლი მთავრობაზე, მაშინ არაფერი გამოგვივა, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „ახალ პოლიტიკურ კონფიგურაციას არ ველოდები“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ ბათუმში განვითარებული მოვლენების ფონზე ბევრი რამ გამოჩნდა. თქვენ როგორ შეაფასებთ, რა გამოიკვეთა?***

– დიახ, მართლაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი გამოიკვეთა: პირველი და უმნიშვნელოვანესი, ბეწვის ხიდზე გავიარეთ. როგორც აღმოჩნდა, კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყნისთვის სახელმწიფოებრივ საკითხებზე ითამაშონ ისე, რომ არც კი დაფიქრდნენ, არც კი გააცნობიერონ თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს.

კიდევ გამოჩნდა ის, რომ ოპოზიცია მთლად მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. კონკრეტულად ვგულისხმობ ნაციონალებს, რომლებიც მზად აღმოჩნდნენ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ბათუმის ქუჩებში მოთარეშე ადამიანებისთვის, მანქანების გადამწველებისთვისა და მოლოტოვის კოქტეილების მსროლელებისთვის სოლიდარობა გამოეცხადებინათ. ახლა რამდენიც არ უნდა უარყონ, ეს ასე იყო.

ასევე გამოჩნდა, რომ მართალია, ხელისუფლების რეაქცია იყო დაგვიანებული, მაგრამ ის იყო ძალიან ზომიერი და ადეკვატური. ხელისუფლებამ ეს გამოცდა ჩააბარა.

***– წინა ხელისუფლება აქციების დარბევას, არაპროპორციული ძალის გამოყენებას გადაჰყვა. შეიძლება, რომ ეს გამოცდილება გაითვალისწინა დღევანდელმა ხელისუფლებამ?***

– როგორც ჩანს, მართლაც ითამაშა განსაკუთრებული როლი წინა ხელისუფლების ცუდმა გამოცდილებამ. აშკარად ჩანდა, რომ ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინა, რაც უდავოდ მისასალმებელია. ძალოვნებმა დაკისრებულ მოვალეობას თავი გაართვეს.

ეს კიდევ ერთ რამეზე მიუთითებს, რომ 7 ნოემბერსაც და 26 მაისსაც მაშინდელი ძალოვნების განსაკუთრებული აგრესიულობა და სიმკაცრე არ იყო შემთხვევითი ან გამოუცდელობით გამოწვეული. ეს იყო პოლიტიკური ვერტიკალიდან მომდინარე მითითება, რომ ხალხი დაესაჯათ ისე, რომ არასდროს განმეორებულიყო მსგავსი რამ, ადამიანებს პროტესტის სურვილი არ გასჩენოდათ.

დღეს ეს ამოცანა არ ჰქონია მოქმედ ხელისუფლებას მიზნად. მოსახლეობის დაშინების პოლიტიკა არ აქვს ხელისუფლებას. აშკარად გამოიკვეთა, რომ მთავრობას არ აქვს აღებული გეზი, რომ მოქალაქეები დააშინოს და მსგავსი მეთოდებით გადაჭრას პრობლემა. შიშის პოლიტიკა გამოირიცხა.

***– მიუხედავად ამისა, ოპოზიცია უკმაყოფილოა და გარკვეული პრეტენზიები აქვს. ამაზე რას იტყვით?***

– კმაყოფილი ოპოზიცია სადმე არსებობს?! ოპოზიცია იმის ოპოზიციაა, რომ ყველაფრით უკმაყოფილო იყოს და ხალხს უთხრას, რომ ის უკეთესად გააკეთებდა, ვიდრე ხელისუფლებამ გააკეთა, მაგრამ ეს არა მხოლოდ უნდა უთხრას, დააჯეროს კიდეც. ჩვენთან რამდენად ახერხებს ამას ოპოზიცია, ეს მეორე საკითხია.

***– რამდენად არის მოსალოდნელი, რომ ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდეს?***

– გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები. სიმართლე გითხრათ, ოპოზიციაზე მე უკეთესი წარმოდგენის ვიყავი. საერთოდ არ მეგონა, რომ ამ მიმართულებით წავიდოდნენ, რადგან წამგებიანი მიმართულებაა. ვაკონკრეტებ – საუბარია ნაციონალურ მოძრაობაზე. მათ წესით უნდა ემუშავათ იმაზე, რომ თავისი რეიტინგი აემაღლებინათ ხალხში და არა, პირიქით.

***– რას გულისხმობთ?***

– იმ აგრესიას, რომელიც გამოავლინეს. დესტაბილიზაციის მომენტებიც თავის თავში აგრესიას გულისხმობს. მე არ გამოვრიცხავ, რომ არსებობდეს ცხელი თავები და მათ გარკვეული სურვილები ჰქონდეთ, მაგრამ თუკი ცოტა ხნით მაინც გააკეთებენ დასკვნებს ბათუმში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, მიხვდებიან, რომ აქცენტები სხვა მიმართულებით უნდა გადაიტანონ.

***– რამდენად არის მოსალოდნელი ოპოზიციის გადაჯგუფება, თუნდაც ადგილობრივი არჩევნების წინ?***

– ჯერჯერობით ვერ დავინახე ოპოზიციის რაციონალური ნაბიჯი. ამდენად, ამ მიმართულებით სიახლეს არ ველოდები.

***– ბოკერიას ნაბიჯს არ მიიჩნევთ რაციონალურად?***

– თუ გავაანალიზებთ იმ მოვლენებს, რაც წინ უძღვოდა ბოკერიას ჯგუფის გამოყოფას სააკაშვილისგან, შეიძლება ასეც ითქვას. წინ კი უძღვოდა ის, რომ სააკაშვილმა ოდესიდან მოინდომა პარტიის მართვა და შორიდან დაკვეთების უნაკლოდ შესრულება, რაზეც უარი მიიღო, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილისგან მაინც, ვინც გამოეყო. თუმცა, რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, ეს არის საკითხავი.

***– როგორი იქნება?***

– ნაციონალები და მას გამოყოფილი ფრთა ხმებს გაიყოფენ. მათი ამომრჩეველი ერთია.

***– ახალ პოლიტიკურ დაჯგუფებებს არ უნდა ველოდოთ?***

– ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ლამის ყოველდღე იცვლება, ძალიან დინამიურია, მაგრამ რაც გასაყოფი იყო და გადასალაგებელი, უკვე მოხდა. მე პირადად მეეჭვება, რომ ახალი



კონფიგურაცია გამოიკვეთოს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ეს პროცესი ნაადრევი მგონია.

დღეს ხელისუფლება სტაბილურია იმდენად, რომ მისი ადეკვატური საპირწონე არ ჩანს. მე, ცხადია, ვსაუბრობ იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც მთელი ეს წლები არიან ავანსცენაზე და რომლებსაც არ შეუძლიათ დღეს ხელისუფლებას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ სწორედ მათი რეიტინგიდან გამომდინარე. თუმცა, როგორც გითხარით, იმდენად დინამიურია პოლიტიკა საქართველოში, რომ არ ვიცი, რა წუთში რა შეიცვლება. დღეს კი სურათი ასეთი გვაქვს.

# მერაბ ლოლობერიძე: „კახა ბუხრაძის გადადგომისთვის მუშაობას დავიწყებ“

გუშინ, 15 მარტს, მერაბ ლოლობერიძის შეუძლოდ გახდომის გამო, აჭარის პოლიციის სამმართველოში მისი დაკითხვა შეწყდა, ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ინტერპრესნიუსს ლოლობერიძის მეუღლემ მალვინა ლომიძემ განუცხადა, დაკითხვისას მერაბ ლოლობერიძე შეუძლოდ გახდა, რის გამოც ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისივე თქმით, ლოლობერიძეს მაღალი ტემპერატურა აღენიშნებოდა.

თავად ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის, მალხაზ ხალვაშის განცხადებით, მერაბ ლოლობერიძეს კლინიკაში შეყვანის დროს მწვავე, შეტევითი ხასიათის ხველა აღენიშნებოდა.

– მას მწვავე, შეტევითი ხასიათის ხველება ჰქონდა. დამაკმაყოფილებელია ჯანმრთელობის მდგომარეობა და ამბულატორიულ მომსახურებას ექვემდებარება, – განაცხადა მალხაზ ხალვაშმა.

◆ ◆ ◆

– საგამოძიებო ორგანოში დაკითხვაზე მოწმის სტატუსით ვიყავი.

ამის შესახებ მერაბ ლოლობერიძემ ჟურნალისტებს ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს დატოვების შემდეგ განუცხადა.

როგორც ლოლობერიძემ გან-



მარტა, გამოძიებას ენდობა, თუმცა აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის, კახა ბუხრაძის გადაყენებას ისევ ითხოვს.

– მე ვენდობი გამოძიებას და, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ სწორ დასკვნებს დადებს. რაც შეეხება ჩემ დაკითხვას, შეუძლოდ გავხდი და შევწყვიტე პროცესი, თავად გადმოვედი საავადმყოფოში. დასაკითხად მოწმის სტატუსით ვიყავი დაბარებული. რასაც მოვითხოვდი, იმასთან დაკავშირებით მეკითხებოდნენ.

კახაბერ ბუხრაძის გადადგომას დღესაც მოვითხოვ, რადგან აჭარაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა და ორივე მხარემ უნდა გაითვალისწინოს. დღეს ვანდალიზმზე საუბრობენ, მაგრამ ბუხრაძემ უფლებამოსილებას გადააჭარბა და მისი გადადგომისთვის მუშაობას დავიწყებთ, ჩემს კოლეგებთან ერთად. ჩემი ბრალეულობის საკითხი არანაირად არ იკვეთება, – განაცხადა მერაბ ლოლობერიძემ.

მერაბ ლოლობერიძეს სოციალურ ქსელებში გავრცელებული მისივე სტატუსების გამო ბათუმში, 11-12 მარტს გამართული აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორად ასახელებდნენ. თუმცა, ლოლობერიძე აღნიშნულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აღნიშნავს, რომ „აქციის ორგანიზატორი იყო ქართველი ხალხი“ და თუ ვინმეს აქვს მის წინააღმდეგ კონკრეტული მტკიცებულებები, გაასაჯაროოს.

**ინტერპრესნიუსი**

# ევა გოცირიძე სტრასბურის სასამართლოს აკრიტიკებს



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და ევროსასამართლოს წევრობის დაწუნებულ კანდიდატთაგან ერთ-ერთი სტრასბურის სასამართლოს აკრიტიკებს, მიზეზი რუსთავი 2-ის საქმეზე აღსრულების შეჩერებაა.

ევა გოცირიძემ წერილი გამოაქვეყნა, სადაც საუბარია იმაზე, რომ ევროპამ მეოთხე ინსტანციის როლი შეასრულა, დაარღვია ბალანსი უფლებებს შორის და ეს ყველაფერი სპეკულაციებზე დაყრდნობით გააკეთა.

– პირადად ჩემი აზრით, ხსენებული უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომელიც სცილდება ადამიანის უფლებათა დაცულობაზე ევროპული კონტროლის დამკვიდრებულ ფარგლებს, იმავდროულად არღვევს სუბსიდიურობის პრინციპს, რომელსაც კონვენცია ემყარება, სტრასბურის სასამართლოს უთავსებს მე-4 ინსტანციის სასამართლოს როლს და შეუძლია გამოიწვიოს არაერთი პრაქტიკული სირთულე.

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება მსუსხავ ეფექტს იქონიებს მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ ყველა დავაზე, რომლებიც ამჟამად საქართველოს საერთო სასამართლოების წარმოებაში იმყოფება, კიდევ უფრო გაახანგრძლივებს ათწლეულების განმავლობაში არსებულ სამართლებრივ გაურკვევლობას, გააძლიერებს მხარეთა ნიჰილიზმს და იმედს გაუცრუებს ქართულ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენისადმი მის მისწრაფებაში, რისი ლეგიტიმური მოლოდინიც გააჩნია ქართული სამართლებრივი სისტემისაგან.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი არ მიესალმება ეროვნული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა აღსრულების დაბრკოლებას, რომლებითაც ცალკეული მესაკუთრეების ქონებრივი უფლებები ისედაც დიდი ხნის დაგვიანებით აღდგა. აღსრულების შეჩერება სინამდვილეში მხოლოდ სპეკულაციების ნიაღვარს ემყარება, მავანთა მიერ რომ არის ინსპირირებული და მხარდაჭერილი, – წერს ევა გოცირიძე.

**ნიუპოსტი**

# გიორგი კვირიკაშვილი: „ნურავის მოატყუებს ჩვენი ჰუმანური სახე“

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბათუმში იმყოფება. ის აჭარაში 11-12 მარტს განვითარებულ მოვლენებს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა.

– ნურავის მოატყუებს ეს ჩვენი ჰუმანური სახე და ნურავინ შეეცდება სახელმწიფოში სტაბილურობის შერყევას, – აცხადებს გიორგი კვირიკაშვილი.

მისი თქმით, მომხდარზე უფრო ღრმა გამოძიება მიმდინარეობს.

– ?გამოძიება მიმდინარეობს, პირველ ეტაპზე ადმინისტრაციული წესით იყვნენ დაკავებულები, ახლა მიმდინარეობს უფრო ღრმა გამოძიება სისხლის სამართლის კუთხით და ყველა ადამიანი, რომელმაც ხელი აღმართა ქვეყანაში ყველაზე ძვირფასზე – ეს არის ადამიანი, რა თქმა უნდა, – უნდა იყოს დასჯილი, როგორც აქციის მონაწილე, ასევე, მათი წამქეზებელი, ვინც არ უნდა იყოს ის, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე შეფასებით, ბათუმის მოვლენებისას სახელმწიფომ გამოწვევას ღირსეულად უპასუხა.

– როცა დაიძაბა სიტუაცია, გვედო პულსზე ხელი და ყველაფერზე ვიღებ პასუხისმგებლობას, თუ როგორ ღირსეულად გაართვა თავი სახელმწიფომ ამ დიდ გამოწვევას.

შევინარჩუნეთ სტაბილურობა ისე, რომ არ გავთელეთ ადამიანის უფლებები, არ გავარდა სპეცრაზმი, როგორც ეს ადრე იყო და არაერთხელ გვინახავს და, სხვათა შორის, ისიც ვიცით, როგორ ცდილობდნენ პოლიტიკოსები მუხტის დილამდე შენარჩუნებას.

ჩვენ თუ ამას გავაკეთებდით, რა თქმა უნდა, ისინი შეძლებდნენ ამ მუხტის შენარჩუნებას დილამდე, თუმცა, რა თქმა უნდა, პროტესტის მუხტი ქვეყანაში არ არსებობს და ეს გახდა ამ პოლიტიკოსების კრახის მიზეზი, დაინახეს მათ, რომ ვერ მიაღწიეს საწადელს და ძალიან უსინდისოდ დაიწყეს ისრების გადმოტანა მთავრობაზე, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, ქართულმა სახელმწიფომ დაანახა ადამიანური სახე.

– ნურავის მოატყუებს ეს ჩვენი ჰუმანური სახე და ნურავინ შეეცდება სახელმწიფოში სტაბილურობის შერყევას, იმიტომ, რომ სახელმწიფოს პა-



სუხი იქნება ძალიან მკაცრი, როგორც კი დავინახავთ, რომ ზღვარი გადასცდეს წითელ ხაზს, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა აღნიშნულ მოვლენებში ნაციონალური მოძრაობის ერთი ნაწილი დაადანაშაულა.

**ნიუპოსტი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ოთარ კახიძე: „წულუკიანს კონკურსის გამართვის უნარ-ჩვევები არ აქვს“



— ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის კონკურსს, სამწუხაროდ, ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი, რომელსაც არ აქვს ის უნარ-ჩვევები, რომელიც ამ კონკურსის გამართვას სჭირდება.

ამის შესახებ მოძრაობა „თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველოს“ წევრმა ოთარ კახიძემ სტრასბურის სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც ოთარ კახიძემ აღნიშნა, თეა წულუკიანი პოლიტიკური სიძულვილითაა განმსჭვალული ოპონენტების მიმართ და ყველა ის პირი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს სხვადასხვა თანამდებობაზე იყო, მას პირად მტრად მიაჩნია.

— ცხადია, ის ვერ ახერხებს მიუკერძოებელი კონკურსის ორგანიზებას. აგრეთვე, იგი, როგორც მენეჯერი, არ გამოირჩევა ნიჭიერებით და შესაბამისად, ვერ მართავს ამ პროცესს იმგვარად, რომ სტრასბურმა ერთხელ უკვე მოგვიბრუნა სია, რაც დიდი სირცხვილი იყო ჩვენი ქვეყნისთვის.

მენეჯმენტში არის, როგორც ჩანს, პრობლემები და ეს პოლიტიკოსი ქალბატონი ვერართმევს თავს დაკისრებულ ელემენტარულ მოვალეობასაც კი, — განაცხადა ოთარ კახიძემ, რომლის კომენტარსაც პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი კობახიძე: „პარლამენტის აპარატი მოწოდების სიმაღლეზე არ დგას“

— საკმაოდ სუსტია პარლამენტის რესურსები კანონშემოქმედებით სფეროში და კიდევ უფრო სუსტია ზედამხედველობის და კონტროლის პროცესში. პარლამენტის აპარატი ხშირ შემთხვევაში მოწოდების სიმაღლეზე არ დგას, რაც უარყოფითად აისახება საპარლამენტო კონტროლის შინაარსსა და ხარისხზე.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

კობახიძემ სიტყვით მიმართა კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც საპარლამენტო საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებულ კვლევას „ოცი წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე“ ეხებოდა.

მან კვლევის ავტორებს მადლობა გადაუხადა და საპარლამენტო კონტროლის ეფექტურობაზე და არსებულ პრობლემებზე დეტალურად ისაუბრა.

— ძალიან სერიოზული ხარვეზები გვაქვს საპარლამენტო კონტროლის კუთხით და ეს პირდაპირ აისახება მთლიანად მმართველობის სისტემის შინაარსზე. პარლამენტს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია — კანონშემოქმედება და ზედამხედველობა, კონტროლი.

ორივე მიმართულებით პარლამენტს აქვს სერიოზული სირთულეები. სუსტია პარლამენტის რესურსები კანონშემოქმედებით სფეროში და კიდევ უფრო სუსტია პარლამენტის რესურსები ზედამხედველობის და კონტროლის პროცესში, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, ყველას ერთად ძალიან ბევრი აქვს სამუშაო, რომ აღნიშნული პრობლემები მოგვარდეს.

— პრობლემებს სამი მიზეზი აქვს.

მათ შორის პირველი არის საერთო პრობლემები, რომლებიც იყო დაკავშირებული მმართველობის სისტემის ფუნქციონირებასთან საქართველოში მთელი ამ 20-25 წლის განმავლობაში. ეს მხოლოდ ერთი ელემენტია საპარლამენტო კონტროლისა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც საპარლამენტო კონტროლი ეფექტურად ვერ ხორციელდება ქვეყანაში.

მეორე პრობლემა დაკავშირებულია პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის დაბალ ხარისხთან. იქ, სადაც განვითარებულია პარტიული სისტემა და კარგად არის განვითარებული ურთიერთობები პოლიტიკურ პარტიებს შორის, სადაც არსებითად კონსტრუქციულ ხასიათს ატარებს ეს ურთიერთობები, ბუნებრივია, უფრო ეფექტურად მუშაობს საპარლამენტო კონტროლის ინსტრუმენტები.

ჩვენთან ამ კუთხით სერიოზული პრობლემები გვაქვს. პარტიული სისტემები საქართველოში ჩამოყალიბებული არ არის, რაც განაპირობებს საერთო პრობლემებს, მათ შორის ეფექტური საპარლამენტო კონტროლის კუთხით.

მესამე პრობლემა არის მენეჯმენტის მიმართულებით, პარლამენტის შიგნით მენეჯმენტზე მაქვს საუბარი. პარლამენტის აპარატი არ დგას ხშირ შემთხვევაში მოწოდების სიმაღლეზე, რაც აისახება უარყოფითად საპარლამენტო კონტროლის შინაარსსა და ხარისხზე, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საპარლამენტო უმრავლესობას გაცილებით მეტი ინტერესი აქვს ზედამხედველობის განხორციელების, ვიდრე უმცირესობას, თუმცა ამ ყველაფერს ხელს უშლის ის ხარვეზები, რაც პარლამენტის მენეჯმენტში შეინიშნება.

— მაგალითად, როცა მთავრობა შემოდის ბიუჯეტის პროექტით, ან ეკონომიკური პაკეტით, შენ უნდა დაახვედრო შესაბამისი რესურსი იმისთვის, რომ შეხვიდე სათანადო ხარისხიან დიალოგში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ასეთი რესურსი თუ არ გაქვს პარლამენტის შიგნით, უმრავლესობის მხრიდან კონტროლი არის ნაკლებად ეფექტური.

დეპუტატებს სჭირდებათ ზურგი და ეს ზურგი უნდა გაუმაგროს პარლამენტის აპარატმა. ანუ, როცა ვსაუბრობთ საპარლამენტო კონტროლზე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ მენეჯმენტი.

თუ გამოსწორდება ხარვეზები მენეჯმენტში, განსაკუთრებით პარლამენტის აპარატში, ეს ყველაფერი აისახება საპარლამენტო კონტროლის შინაარსზე, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

**ინტერპრესნიუსი**

**ყველა საიდუმლო ადრე თუ გვიან ხდება ცნობილი.**

*სოკრატე*

## ღია წერილი

**საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ გიორგი მარგველაშვილს**
**საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს**
**საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს**
**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს**
**უფლებადამცველს, ბატონ მამუკა ტუსკაძეს**

ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ, მაგრამ სხვა გზა აღარ დამრჩა. სანამ ჩემს გასაჭირზე მოგახსენებთ, მინდა თქვენთან ერთად გავიხსენო კადრი ფილმიდან „ოთარაანთ ქვრივი“, როდესაც იგი სიმართლის პოვნისათვის იძულებული გახდა ბოლოს მისულიყო გუბერნატორთან. საქმე ორ ქათამში კი არ იყო, არამედ იგი ეძებდა სამართალს, რომელმაც საბოლოოდ იზეიმა.

ჩვენი ოჯახის ამ დღეში ჩავარდნა მოხდა ხელისუფლებაში ნაციონალების მოსვლის შემდეგ. წერილი შედგება ორი ნაწილისაგან — რა დღეში ჩავარდა ჩვენი ოჯახი და რის გამო მოვხვდით ამ გასაჭირში.

მოგახსენებთ, რომ ბედის ირონიით თუ ბედის უკუღმართობით, ჩვენს ოჯახს მოუწია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის-კაპიტალში ორი საცხოვრებელი სახლის იპოთეკური სესხით დატვირთვა (თუ რატომ მოგვიწია სესხების აღება, ამის შესახებ წერილის მეორე ნახევარში მოგითხრობთ). მე, გურამ არეშიძეს, აღებული მქონდა 27 000 აშშ დოლარი სესხი, ხოლო ჩემს შვილს იოსებ არეშიძეს — 17 000 აშშ დოლარი. თავის დროზე ჩვენ, ხელშეკრულების თანახმად, დროულად ვიხდიდით თვიურ 4 პროცენტს, მაგრამ ჩვენმა ოჯახმა ველარ შეძლო სესხების დაფარვა, რის გამოც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის-კაპიტალმა კერძო აღმასრულებელ იროდიონ თოდუას მეშვეობით მოახდინა ჩვენი სახლების რეალიზაცია.

ჩემი შვილის იოსებ არეშიძის ქონება შეფასებული იყო მათივე აუდიტის მიერ 260 000 ლარად, მაშინდელი კურსით დაახლოებით 160 000 დოლარად, ჩემი შვილის სახლის გაყიდვა მოხდა აუქციონზე, რისთვისაც „ჩატარდა“ ორი აუქციონი და ეს აუქციონებიც ჩატარდა როგორც დადგმული „სპექტაკლები“, რათა გარეგნულად ყველაფერი ყოფილიყო „სრულფასოვანი“ და „კანონის ფარგლებში“, რადგან მათ იცოდნენ, რომ უკვე მყავდა ჩემის შვილის სახლის მყიდველი, რომელთანაც ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას სახლის შესყიდვის თაობაზე.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩემი შვილის სახლის გასაყიდად ჩატარდა ორი აუქციონი ინტერნეტის მეშვეობით. პირველი აუქციონი, როდესაც სახლი დაიდო ინტერნეტში, დაფიქსირდა დრო აუქციონის დაწყებისა, მაგრამ იმავე წამს მოხსნეს აუქციონიდან, რათა სხვა ვინმეს არ ეყიდა სახლი. მოხსნილი იყო იმ დრომდე, სანამ აუქციონის დრო არ ამოიწურა. ბოლოს ისევ განაახლეს აუქციონი და დააფიქსირეს, რომ პირველი აუქციონის დროს სახლი არ გაიყიდა.

მეორე ნულოვანი აუქციონი „დაიწყო“ 28.11.2012 წ. 15.00 საათზე, რომელიც აგრეთვე იმავე წამს მოიხსნა ინტერნეტიდან, რათა სახლი სხვა ვინმეს არ ეყიდა. განმეორებით „დაიდო“ ინტერნეტში 06.12.2012 წ. 15.00 საათზე და იმავე წამს საგარანტიო თანხა 1300 ლარი შეიტანა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის-კაპიტალის თანამშრომელმა თორნიკე ლემონჯავამ, რომელმაც სახლი შეიძინა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სასარგებლოდ. სახლი საბოლოოდ გაიყიდა შეფასების 10%-ში 26 000 ლარად, ე.ი. 16 000 დოლარად ანუ 10 კილო ხიზილალას ფასად. საბოლოოდ, ჩემი შვილის სახლი „შეისყიდა“ სვის-კაპიტალის დირექტორის პაატა დაიაურის უახლოესი მეგობრის ლევან ჯიშკარიანის მეუღლემ ელენე ჯიშკარიანმა.

ამის შემდეგ ჩვენ მივმართეთ სიტყვიერად მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და ვაპირებდით ამ აუქციონის გასაჩივრებას, მაგრამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ კერძო აღმასრულებელ იროდიონ თოდუას მეშვეობით გაყიდა სახლი, რომელშიც ჩემი ოჯახი ცხოვრობდა. სახლი გაყიდა პირველივე აუქციონზე.

სახლი შეისყიდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის-კაპიტალმა, რითაც „ხელ-ფეხი“



შეგვიკრა და სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით. ახლა ამაზე დავიწყეთ მცდელობა და მოლაპარაკება ამ ორგანიზაციასთან სახლის გამოსყიდვაზე. აქვე მინდა გაცნობოთ, რომ აღნიშნული სახლი მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეისყიდა, რომელიც მათივე აუდიტის მიერ შეფასებული იყო 100 000 ლარად. შესყიდული იქნა შეფასების 71%-ში და აუქციონი გაგძელდა რამდენიმე წუთი.

ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი ოჯახის ტრაგედია. ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის-ვაპიტალთან, რომელიც თითქმის ორი წელი გაგრძელდა. ჩვენს ოჯახს ჰქონდა საშუალება, რომ სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, მოლაპარაკებით გამოგვესყიდა. ჯერ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სიტყვიერად თანხმდებოდა, რომ ჩემი, გურამ არეშიძის, სახლი დაბრუნდებოდა 10 დღეში, შემდეგ ერთ თვეში და ა.შ. შემდეგ მოგვცა წერილობითი დასტური, რომ 2014 წლის 15 ნოემბრამდე გაგვიფორმდებოდა ნასყიდობა ჩემი, გურამ არეშიძესთან, უძრავ ქონებაზე უკვე შეთანხმებული პირობით, რომელიც არ შესრულდა. შემდგომ 24.04.2015 წელს შევთანხმდით, რომ 2015 წლის აპრილში გადმომიფორმებდა მე, გურამ არეშიძეს, ჩემს კუთვნილებაში არსებულ სახლს. არც ეს პირობა შესრულდა და როგორც იქნა, 2015 წლის მაისში დამატებითი პირობების წაყენების შემდეგ დავიბრუნე სახლი.

სახლის დაბრუნების შემდეგ მე, გურამ არეშიძემ, დავიწყე სხვადასხვა ინსტანციებში სიარული და კონსულტაციების გავლა თუ რამდენად სწორად გაიყიდა ჩემი შვილის, იოსებ არეშიძის, ქონება და ყველა მათგანი მეუბნებოდა, რომ სახლი გაიყიდა ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, თაღლითურად.

ჩემ მიერ მიწერილი იქნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსური დირექტორის, ბ-ნი გოგა წიქარაძის სახელზე დაზღვეული წერილი შეკითხვით, თუ რატომ გაიყიდა ჩემი შვილის, იოსებ არეშიძის, ქონება შეფასების 10%-ში, ხოლო ჩემი, გურამ არეშიძის, ქონება შეფასების 71%-ში, მაგრამ პასუხი არ მომწერეს. ვერ გამცეს პასუხი აგრეთვე კითხვაზე, თუ რატომ შეისყიდა ჩემი, გურამ არეშიძის, სახლი პირდაპირ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ, ხოლო საბოლოოდ ჩემი შვილის, იოსებ არეშიძის, სახლი მათმა თანამშრომელმა თორნიკე ლემონჯავამ, ხოლო საბოლოოდ ჩემი შვილის, იოსებ არეშიძის, სახლი „შეისყიდა“ სვის-კაპიტალის დირექტორის, პაატა დაიაურის უახლოესი მეგობრის, ლევან ჯიშკარიანის მეუღლემ ელენე ჯიშკარიანმა.

უმორჩილესად გთხოვთ ამ საკითხის შესწავლას, რათა ვიპოვო სიმართლე.

მთელი ჩემი ცხოვრება სულ ვშრომობდი. 2005 წლამდე ვმუშაობდი როგორც რიგით თანამშრომლად, ასევე ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ვიყავი ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის უფროსი, გარემოს დაცვის მცხეთის საქალაქო სამმართველოს უფროსი, სადაც შემოდიოდა აგრეთვე ახალგორის რაიონი, ხოლო 1995 წლიდან გარემოს დაცვის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე 2005 წლამდე. სულ გარემოს დაცვით სამსახურში ვიშრომე 27 წელი.

2005 წლის გაზაფხულზე სამმართველოში მოვიდნენ მცხეთასთან და რეგიონთან არავითარ კავშირში მყოფი ზაქარია დოდაშვილი, შემდგომში სამმართველოს უფროსი დათო ეცადაშვილი, უფროსის მოადგილე და მთ.სპეციალისტი ლევან ბადრიძე. ზაქარია დოდაშვილმა ყველა თანამშრომელს განუცხადა, რომ ჩვენ, ყველანი, განთავისუფლებულები ვიყავით. მიზეზი არ უთქვამს. ყველანი სახლებში წავედით. ამ დროს გარემოს დაცვის მინისტრი იყო თამარ ლებანიძე, რომელმაც ჩვენ განთავისუფლებაზე ისე მოაწერა ხელი, სამინისტროში არც კი დავუბარებივართ.

ცოტა ხანში ზაქარია დოდაშვილმა მე და რამდენიმე თანამშრომელი დაგვიბარა და შემოგვთავაზა რიგით თანამშრომლებად მუშაობა, რაზედაც ჯერ თავი შევიკავე, მაგრამ შემდგომ დავთანხმდი, რადგან უკან ოჯახი მედგა. ჩვენს დაბრუნებას მათი მხრიდან ის მიზანი ჰქონდა, რომ ისინი არ იცნობდნენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონს. ჩემთან ერთად დაბრუნდა რამდენიმე თანამშრომელი. მოკლედ, მალე გაირკვა, რომ სამსახურში იმიტომ დაგვაბრუნეს, ახლად მოსული თანამშრომლები ჩვენგან გარკვეულიყვნენ რეგიონზე და აქ არსებული გარემოს დაცვით პრობლემებზე. რამდენიმე თვის შემდეგ ისევ მოგვთხოვეს სამსახურიდან წასვლა. სამსახურში ჩემი დაბრუნების პერიოდში ზაქარია დოდაშვილმა მითხრა, რომ შენს თანამდებობიდან განთავისუფლებაზე ჩაერია პარლამენტის წევრი მ.მენთეშაშვილი „ნაციონალებიდან“ (ამ კაცს რა დავუშავე, არ ვიცი, მასთან შეხება არ მქონია) და სამინისტროს რეგიონული სამმართველოს დეპარტამენტის უფროსი ს.ქარცივაძე; როგორც ზაქარია დოლაშვილმა მითხრა, ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში მე ს.ქარცივაძის ძმას, მისი სახელი არ მახსოვს, უარი ვუთხარი ქ.მცხეთაში მდ.არაგვის კალაპოტში ინერტული მასალების ლიცენზიის აღებაზე. მოგახსენებთ, რომ ქ.მცხეთა მუზეუმ-ნაკრძალია და მის ფარგლებში ინერტული მასალის მოპოვება კატეგორიულად აკრძალულია. რამდენიმე თვის შემდეგ ისევ მაიძულეს, დამეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლაზე. სანამ ჩემს განთავისუფლებაზე ბრძანება დაიწერებოდა, გადავწყვიტე, ინდმეწარმე გავმხდარიყავი და ინერტული მასალების მოპოვებაზე ლიცენზია ამეღო გარემოს დაცვის სამინისტროდან მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისში მდინარე ქსნის კალაპოტიდან. ავიღე და მოვაგროვე სათანადო დოკუმენტაცია ჩემს სახელზე და რეგიონულ სამმართველოში შუამდგომლობის ასაღებად მივედი. ზაქარია დოდაშვილმა შემომთავაზა, რომ საბუთები გადამეკეთებინა სამმართველოს ბუღალტრის, ნინო მაჩაიძის მეუღლე გიორგი ზურაბიშვილზე, რაზედაც ჯერ თავი შევიკავე, შემდგომში კი დავთანხმდი. საბუთების მომზადების პერიოდში მცხეთაში, სადაც განთავსებული იყო კონტროლის პალატის ფილიალი, შემხვდა დავით პატარიძე, რომელსაც ჩვენი სამმართველოს შემოწმების პერიოდიდან ვიცნობდი, შემომთავაზა, ხომ იცი, სად ვმუშაობ, გამოსადეგი კაცი ვარ, თან მამაჩემი პარლამენტის წევრია, ლიცენზიის 33-პროცენტიან წილში შემოვალო. ვიცოდი, დავით პატარიძე გაიძვერა და მექრთამე იყო, მაგრამ მაინც დამითანხმა წილში შემოსვლაზე. დავით პატარიძე ჩვენი რეგიონის შემოწმების დროს მე დამყავდა სხვადასხვა ორგანიზაციებში შემოწმებაზე. იგი ხვდებოდა ხელმძღვანელ მუშაკებს, მე მისაღებში ველოდებოდი. როგორც შემდგომ გაირკვა, იგი სძალავდა ყველა მათგანს ფულს, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა. არ დატოვა არც ერთი ბუნებით მოსარგებლე ორგანიზაცია, ვისაც ფული არ გამოსძალა. გარდა ამისა, მან მეც მომთხოვა 1500 ლარი, რომელიც მე შევაგროვე. ასე მითხრა, რომ ასეა საჭირო. ჩვენ აღნიშნული ლიცენზიის მფლობელები გავხდით: ზაქარია დოდაშვილი — 33%, დავით პატარიძე — 33% და მე — გურამ არეშიძე 33%. ზაქარია დოდაშვილსა და დავით პატარიძეს შევთავაზე, რომ ჩვენი შეთანხმება ნოტარიულად გაგვეფორმებინა. მათ მიპასუხეს, რომ ჩვენი სიტყვა უფრო კაცურია, ვიდრე ნოტარიუსიო. მეც დავთანხმდი, რაზედაც ძალიან ვნანობ, რადგან ჩემი ოჯახი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. 2005 წლის დეკემბერში წიაღის მოპოვების ლიცენზია (სერია 33 №00677) გაიცა სამმართველოს ბუღალტრის, ნინო მაჩაიძის მეუღლის, გიორგი ზურაბიშვილის სახელზე. დავითთან ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ შემდგომ დავით პატარიძემ დამატებით მოიყვანა თავისი მეგობრები, ნელ-ნელა შემაჩვიეს, რომ მე არ ვარ მეწილე და 2010 წელს აღნიშნული ლიცენზია ვითომ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა ორგანიზაციას. შემდგომში გაირკვა, რომ ლიცენზიის წილში 2015 წლის ბოლომდე ფარულად იყვნენ ზაქარია დოდაშვილი, დავით პატარიძე და მგონი დღესაც არიან მეწილეები, ფულად შემოსავალს კი სახელმწიფოს უმალავენ.

ამას გარდა, დავით პატარიძე რამდენჯერმე დამემუქრა — ხომ იცი, მამაჩემი, იგორ პატარიძე პარლამენტის წევრია „ნაციონალური პარტიიდანო“ და მეც დროებით გავჩუმდი.

არ მიყვარს კაცის დასმენა და თავისებურად მრცხვენია ზემოთ დაწერილი სტრიქონებისა, მაგრამ მრავალი ვედრების მიუხედავად, დათო პატარიძე ვერ მოვაბრუნე კაცობისკენ. მან ზაზა დოდაშვილიც აიყოლია და გიამბობთ, თუ რა ჩაიდინა ჩემ მიმართ: სამმართველომ ლიცენზიის მოქმედების ვადა 1 წლით გაუგრძელა „გონიოს“, რომლის დროსაც სახელმწიფოს 1 თეთრითაც არ უზარალია, მაგრამ ფინანსურმა პოლიციამ მცხეთაში ბუზისგან სპილო შექმნა. მაშინ ფინანსურ პოლიციას ხელმძღვანელობდა დ.კეზერაშვილი და ერთი საბუთის არარსებობის გამო ზ.დოდაშვილი ორჯერ გაასამართლეს. პირველ სასამართლოზე დააკისრეს გირაო 15000 ლარი, ხოლო მეორე სასამართლოზე კიდევ 10 000 დაამატეს, ე.ი. სულ 25 000 ლარი. ყოველივე ამის გამო გადავწყვიტე, რომ ზ.დოდაშვილს დავხმარებოდი და ჩემი შვილის სახლი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ჩავდე, რადგან კარიერის იმედი მქონდა და ამ სახლს დავიბრუნებდი, მაგრამ ორივე დამაღალატა და კარიერი გაასხვისა. იძულებული გავხდი, მეორე სახლიც ჩამედო, იქნებ გონს მოეგონ-მეთქი, მაგრამ მოღალატე მოღალატეა და ამ ღალატის გამო ჩემი შვილის სახლი დავკარგე, ხოლო სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ, ძლივს დავიბრუნე.

ახლა კიდევ მოვუწოდებ დათო პატარიძესა და ზაზა დოდაშვილს, გონს მოეგონ, თორემ სათანადო ორგანიზაციებს მივმართავ, რადგან ჩემი შვილების, შვილიშვილებისა და ჩემი მეუღლის დატანჯვასა და დაკნინებას არავის შევარჩენ. ჩემს ოჯახს ბოდიშს ვუხდი და მანამ ვიბრძოლებ, სანამ სიმართლეს არ გავამარჯვებინებ.

**გურამ არეშიძე**
**ქ. მცხეთაში, მირიანის ქ. №4-ში მცხოვრები**
**(ტელ.: 571-51-12-95)**

# თბილისი რუსულ აგრესიას კიდევ ერთხელ გმობს

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალი უკვე რამდენიმე დღეა, რაც რუსეთთან მორიგ შეერთებას ზეიმობს. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები რუსეთის არმიასთან აპირებდნენ გაერთიანებას, რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. ოფიციალურ თბილისს ამაზე რეაქცია თითქმის არ ჰქონია. თებერვალში ციანიდის სკანდალს გადააყოლეს გული, მარტში მოლოტოვის კოქტეილიც წამოეწიათ.

ამასობაში ცხინვალმა და მოსკოვმა დიდი ზარ-ზეიმით გააფორმეს შეთანხმება, რომლის თანახმადაც შეიარაღებულ ძალთა გაერთიანება მოხდა.

საქართველოს ხელისუფლებამდე ამ ამბავმა, როგორც იქნა, მოაღწია. ცხინვალ-მოსკოვის ავ განზრახვას ჩვენებურებმა დიპლომატიური ქოქოლა მიაყარეს.

თავშეკავების ჩარჩოებს არ გასცდენია საქართველოს პრეზიდენტთან მუქარის ტონით მოლაპარაკე ირაკლი კობახიძე.

– ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივ ანექსიას ითვალისწინებს, არის მიუღებელი და ნებისმიერ ასეთ ნაბიჯს ვგმობთ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ამ საკითხზე საუბრის დიდი სურვილი არც საპარლამენტო უმრავლესობის სხვა წევრებს აქვთ.

მათი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას ამ უკანონობის აღკვეთა არ შეუძლია. მეოცნებეთა თქმითვე, ოფიციალურ თბილისს სხვა ბერკეტები არ აქვს, გარდა იმისა, რომ დიპლომატიური გზით მიაღწიოს მშვიდობას რეგიონში.

ამ მოსაზრებას იზიარებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კობა კობალაძეც.

– საერთაშორისო სამართლის ნორმები არ ვრცელდება აღნიშნულ ტერიტორიებზე, ნებისმიერი ის ქმედება, რომელიც ხორციელდება ამ ტერიტორიებზე, არის მიმართული ჩვენი ქვეყნის ერთიანობის და სიძლიერის საწინააღმდეგოდ... სხვა ქვეყნის და სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოქმედებს თავისი სახელმწიფოს სტრატეგიიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი სახელმწიფოებრიობის სტრატეგიიდან გამომდინარე, – ამბობს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.



საქართველოს რომ ცხინვალ-მოსკოვზე ზემოქმედება არ შეუძლია, ამას საპარლამენტო ოპოზიციაც კარგად ხვდება. ისინი ერთადერთ გამოსავალს საერთაშორისო ზეწოლაში ხედავენ.

საერთაშორისო ზეწოლა კი, მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლების უუნარობის გამო არ ხორციელდება. ოპოზიციონერი დეპუტატები ამბობენ, რომ ხელისუფლება ამ მიმართულებით საერთოდ არ მუშაობს.

– საერთაშორისო ზეწოლა ამ მიმართულებით არის შეჩერებული, რადგან ჩვენი ხელისუფლება არის სრულიად უმოქმედო და საქართველოს საკითხი სრულიად გამქრალია, მაშინ, როდესაც უკრაინასთან მიმართებით სანქციები არის ამოქმედებული რუსეთის წინააღმდეგ, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი.

უფრო მძიმე შეფასებები აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას.

თავისუფალი დემოკრატების განცხადებით, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ პუტინს აქვს ოკუპირებული ტერიტორიების სრული ანექსიის ძალიან ზუსტი გაცხადებული გეგმა. მათივე განცხადებით, დღეს ამ მიმართულებით საგანგაშო რეალობაა.

– რუსეთის გააქტიურება პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის გადაწყვეტილებასთან უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით. პუტინი კიდევ უფრო აგრესიულად გააგრძელებს როგორც ოკუპირებული ტერიტორიების ანექსირების გეგმას, ასევე ქვეყნის შიგნით პოლიტიკური დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობას.

პუტინს აქვს ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების სრული ანექსიის ძალიან ზუსტი გაცხადებული გეგმა და გასაკვირია, რატომ აღიქმება სიურპრიზად ჩვენი მთავრობისთვის ოკუპანტის მხრიდან ამ მიმართულებით გადადგმული ყოველი ნაბიჯი. ე.წ. სამხრეთ ოსეთის საჯარისო შენაერთების რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესვლის გადაწყვეტილება სწორედ ამ გეგმის ნაწილია და რუსეთის მხრიდან ეს ძალიან დიდი ხანია მზადდება, – აცხადებს თავისუფალი დემოკრატების გენერალური მდივანი თამარ კეკენაძე.

მისი თქმით, ასეთი ნაბიჯების აღსაკვეთად საქართველოს ხელისუფლება მუდმივ რეჟიმში უნდა მუშაობდეს საერთაშორისო პარტნიორებთან.

– საქართველოს ოკუპაცია უნდა იყოს ყველა მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრის დღის წესრიგში და ხელისუფლება უნდა უზრუნველყოფდეს, რომ პუტინზე და ოკუპანტ რუსეთზე პრევენციულად, უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდეს საერთაშორისო ზეწოლა.

დღეს გვაქვს საგანგაშო რეალობა. ნაცვლად იმისა, რომ „ქართული ოცნება" ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერის სრულ კონსოლიდაციას ახდენდეს, ხელისუფლება სრული შემადგენლობით, საკუთარი განცხადებებით და ქმედებებით მიზანმიმართულად ახდენს ევროპული ინსტიტუტების და ჩვენი მეგობრების დისკრედიტაციას, და კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს რუსული საქმის განხორციელებას საქართველოში, – ამბობს თამარ კეკენაძე.

◆ ◆ ◆

## ცხინვალის შსს კოკოითის დაემუქრა

სანამ ოფიციალური თბილისი მოსკოვის ქმედებებს ლაითად გმობს, ცხინვალში სიტუაცია კვლავ დაძაბული რჩება.

საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, აქ პოლიტიკურმა ტემპერატურამ მკვეთრად მოიმატა. სიტუაცია განსაკუთრებით ედუარდ კოკოითიმ დაძაბა.

მან ცხინვალში რამდენიმე აქციაც კი მოაწყო. განსაკუთრებული აგრესიულობით ადგილობრივი უზენაესი სასამართლოს მიმართ გამოირჩეოდა. მოსალოდნელი არეულობის თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლებამ სასამართლო პოლიციის ალყაში მოაქცია.



პოლიციის მხარდაჭერით გათამამებულმა მოსამართლეებმა ცესკოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს. შესაბამისად, კოკოითი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

უზენაესმა კოკოითის განაჩენი 14 მარტს გვიან საღამოს გამოუტანა. ამის შემდეგ მისმა მომხრეებმა ქალაქში მსუბუქი არეულობა მოაწყეს. ბათუმის არეულობამდე ბევრი დააკლდათ, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება გვარიანად შეაშინეს.

აქციის მონაწილეები მას შემდეგ წავიდნენ საკუთარ სახლებში, რაც რესპუბლიკის მეთაურმა ლეონიდ თიბილოვმა კოკოითისთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

კოკოითი რომ ოხერი და არასანდო კაცია, ეს ყველამ იცის, ამიტომაც ცხინვალის შსს-მ სხვა ზომებსაც მიმართა. კერძოდ, შსს ნაპრეზიდენტალის მომხრეებს დაჭერით დაემუქრა.

– ამ დროისთვის რესპუბლიკაში სიმშვიდეა, მაგრამ წუხელ თავად ხედავდით ყველაფერს. სამწუხაროდ, კოკოითი მომხრეებს უბიძგებს პროვოკაციებისკენ, მოუწოდებს მათ სამთავრობო შენობებთან შეკრებისკენ, – განაცხადა ოსურ მედიასთან საუბარში შინაგან საქმეთა მინისტრმა ახსარ ლავოევმა.

კოკოითის მიერ ნაგინებმა ცესკომ კი საბოლოოდ დაამტკიცა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატები.

არჩევნები აქ 9 აპრილს ჩატარდება. მასში მხოლოდ 3 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. ესენი არიან მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი, პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვი და კაგებეშნიკი ალან გაგლოევი.

ოსი და რუსი ექსპერტების შეფასებით, მთავარი ბრძოლა თიბილოვსა და ბიბილოვს შორის გაიმართება. ორივე კანდიდატი რესპუბლიკის მომავალს რუსეთის შემადგენლობაში ხედავს.

# საქართველოსა და უკრაინას უჭირთ რუსეთთან ბრძოლა საერთაშორისო სასამართლოებში

## 2008 წელს რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევაც განახორციელა

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო და უკრაინა ერთმანეთის მსგავს მდგომარეობაში იმყოფებიან და რუსეთის წინააღმდეგაც დაახლოებით ერთნაირად იბრძვიან. ეს ბრძოლა მოიცავს არა მარტო პოლიტიკურ და სამხედრო მეთოდებს, არამედ, საერთაშორისო სამართლებრივ ბერკეტებსაც.

უკრაინას გაეროს საერთაშორისო სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელები რუსეთის წინააღმდეგ ორი საერთაშორისო კონვენციის დარღვევის თაობაზე. უკრაინა დარწმუნებულია, რომ რუსეთმა დაარღვია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის, ასევე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციები.

უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის მიუხედავად, დაზარალებულ ქვეყანას სასამართლოს მოგების გარანტია არ გააჩნია. განიხილავს თუ არა ამ საქმეებს ჰააგაში მოქმედი გაეროს საერთაშორისო სასამართლო, უცნობია.



უცხოური მედია პარალელს ავლებს საქართველოსთან და აღნიშნავს, საქართველოს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ 2011 წელს უარი უთხრა სარჩელის განხილვაზე. საქართველოს სარჩელი ეხებოდა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის დარღვევას რუსეთის მიერ. სასამართლოში განმარტეს, რომ მოსარჩელემ, ანუ საქართველომ, არ გამოიყენა საკმარისი ძალისხმევა დავის მოლაპარაკებებით მოგვარების მიზნით.

ლე მონდთან ინტერვიუში საქართველოსთან დაკავშირებულ ისტორიას ასე აფასებს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ბრუნო სილა:

– ქართული პროცესი ძალიან კონტრავერსიული იყო. უკრაინულიც ასეთი აღმოჩნდა.

თუ უკრაინის საქმის განხილვა გადაწყდა, პროცესი შეიძლება 3 წელიწადის განმავლობაში გაიჭიმოს.

ფრანგი იურისტები აცხადებენ, რომ უკეთესი იქნებოდა, უკრაინას სარჩელი შეეტანა კონკრეტული პირის წინააღმდეგ, რომელიც აფინანსებდა ტერორიზმს დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკებში და კონკრეტული პოლიტიკოსის წინააღმდეგ, რომელმაც მოახდინა ყირიმელი თათრების დისკრიმინაცია და მხოლოდ ამის შემდეგ მიემართა გაეროს საერთაშორისო სასამართლოსთვის.

გაეროს საერთაშორისო სასამართლო ვერ დააკისრებს რუსეთს პასუხისმგებლობას ადამიანების დახოცვისა და დონბასში ნგრევების გამო. ეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეროგატივაა, რომელიც ასევე ჰააგაში მდებარეობს.

უკრაინის გამოცემების მიხედვით, რამდენიმე უკრაინელმა ჟურნალისტმა შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება იმის გამო, რომ ერთმანეთში აურია არა მარტო ეს ორი სასამართლო, არამედ, საერთაშორისო ტრიბუნალიც.

დაახლოებით ერთი თვის წინ აღმოსავლეთ უკრაინაში ბრძოლები გამწვავდა. დანიელი ექსპერტების შეფასებით, ეს არაა ჩვეულებრივი ყოველდღიური სროლები. ის, რაც ავდეევკასთან ხდება, ნამდვილი ომია. მათი თქმით, ევროკავშირში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა იმაზე, თუ რომელმა მხარემ მოახდინა მისი ინსპირირება.

ბრიტანელი დოკუმენტალისტი აცხადებს, რომ დონბასის მოვლენებში დამნაშავე არიან მოსკოვიცა და კიევიც. მსხვერპლი კი ადგილობრივი მოსახლეობაა.

დანიელი ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ ევროკავშირი რუსული დეზინფორმაციის სამიზნეა. ამის შედეგად ევროპაში არასწორი ინფორმაცია ვრცელდება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე.

რუსეთის მხრიდან თავისი მეზობელი სახელმწიფოების მიმართ მოსალოდნელ ახალ ინფორმაციულ ომსა და კიბერშეტევებზე ევროპელი ანალიტიკოსები ცოტა ხნის წინ ალაპარაკდნენ. ლე მონდი ამ თემას უბრუნდება და წერს, რომ რუსეთმა განახორციელა კიბერშეტევა საქართველოზე 2008 წლის ომის დროს.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

## პრეზიდენტის პარლამენტში მისვლის თარიღი კვლავ უცნობია

პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის თარიღთან დაკავშირებით საუბრობს და აცხადებს, რომ პრეზიდენტმა უნდა მიმართოს პარლამენტს სასურველ თარიღთან დაკავშირებით და ამის შემდეგ კონსულტაციების შედეგად უნდა გადაწყდეს თარიღი.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ, რომ ამ საკითხზე კონსულტაციები გავმართოთ.

ვერ გეტყვით, გამოსვლა როდის იქნება. იყო გარკვეული შემოთავაზება თარიღის, თუმცა ის ემთხვეოდა მნიშვნელოვან ღონისძიებას, საქართველოში ჩამოდის ხუთი ქვეყნის სპიკერი და ორი ქვეყნის ვიცე-სპიკერი. აქედან გამომდინარე, შევთანხმდით, რომ პრეზიდენტის გამოსვლის თარიღი გადაგვეწია, თუმცა დამატებითი კონსულტაციები არ გამართულა.

ველოდებით შემოთავაზებას პრეზიდენტის მხრიდან, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრეზიდენტის პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლა მარტში იგეგმება.

**პირველი რადიო**

# 2 კვირაში 100 ათასი ადამიანი დაზღვევის გარეშე დარჩა

2017 წლის 1 მარტიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ცვლილება შევიდა. თუ მანამდე საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს საყოველთაო დაზღვევაც ჰქონდა და კერძოც, ამ ცვლილების მიხედვით, საყოველთაო და კერძო პაკეტები გაიმიჯნა და მოქალაქეები მხოლოდ ერთი სახის დაზღვევის იმედზე დარჩნენ. აპრილიდან კიდევ ერთი ცვლილებაა მოსალოდნელი: იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც წელიწადში 40 ათას ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა დიფერენცირებულად გავრცელდება, ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

სერგეენკოს თქმით, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მაღალშემოსავლიანი მოქალაქეები ცდილობდნენ მიეღოთ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისები, თუმცა მათ საკუთარი ჯანდაცვის დაფინანსება შეეძლოთ.

მინისტრის თქმით, სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე გამოიკვეთა დიფერენცირების აუცილებლობა.

2017 წლისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე 660 მილიონი ლარია გამოყოფილი, 2016 წელს კი – საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტი 570 მილიონი ლარით იყო განსაზღვრული, თუმცა პროგრამის შეუფერხებელი მიმდინარეობისთვის ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა და პროგრამას წლის ბოლომდე ბიუჯეტიდან 53 მილიონი ლარი დაემატა.

საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში დაზღვევა მნიშვნელოვნად გაძვირდება.

**დევი ხეჩინაშვილი:**

– ორი კვირაა, რაც ეს ცვლილება ამოქმედდა და უსიამოვნო რეალობა უკვე იკვეთება: დაახლოებით 100 ათას ადამიანს, ვისაც ჰქონდა წვდომა საყოველთაო ჯანდაცვის სერვისებზე და ე.წ. დაშენებული პაკეტები, ეს წვდომა შეუწყდა.

სადაზღვევო ინდუსტრიისა და დაზღვეულთა ხარჯები იზრდება. საბოლოო ჯამში რამდენიმე ათასი ადამიანის კონტრაქტის გადახედვა იქნება საჭირო და ათასობით ადამიანს დაზღვევა გაუძვირდება ანუ სადაზღვევო კომპანია მათ შესთავაზებს ახალი რეალობიდან გამომდინარე






ახალ პირობებს. ნაწილს კი – საერთოდ ვერაფერს შესთავაზებს. არის ხალხი, რომელსაც 2-3-4-5-ლარიანი პაკეტები აქვს, იმათ რა ეშველებათ? – რეალურად არაფერი, რადგან მათ დაკარგეს საყოველთაო დაზღვევა და მინიმალური პაკეტის ამარა დარჩნენ.

***– ბატონო დევი, რა ელის იმ კატეგორიას, რომელსაც კორპორატიული დაზღვევა აქვს?***

– არ ვიცი, რას იზამენ კერძო კომპანიები და დაწესებულებები, დაამატებენ თუ არა ფულს, რომ თანამშრომლებისთვის ნორმალური პაკეტი იყიდონ, თუ არადა, ეს ადამიანები უარს იტყვიან დაზღვევაზე და მინიმალური საყოველთაო დაზღვევის იმედზე აღმოჩნდებიან. ასეთივე პრობლემები ნელ-ნელა იჩენს თავს ინდივიდუალური წესით დაზღვეულებშიც.

მნიშვნელოვნად გაუძვირდება დაზღვევა იმ ნაწილს, ვისაც დაშენებული პაკეტები ჰქონდა. ახლა ციფრებზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ჯერ ყველაფერი უნდა აღირიცხოს. ყველაზე დიდი პრობლემა იმ ხალხს შეექმნება ჰოსპიტალური, ონკოლოგიური და სხვა ძვირი სერვისების მიღების დროს, რომელიც ადრე საყოველთაო ჯანდაცვიდან ფინანსდებოდა.

ჩვენი მოქალაქეები დღეს სრულიად ახალ რეალობაში აღმოჩნდნენ, რომელიც მათთვის სასიკეთო სულაც არ არის. ბევრი საერთოდ დაკარგავს დაზღვევის ნაწილს და ვერ აღიდგენს. განსაკუთრებით რთულია ინდივიდუალური დაზღვევის მქონეთა ხვედრი.

***– თუმცა, აპრილის მეორე კვირიდან ახალ ცვლილებებს გვპირდებიან.***

– ამჟამად ისეთი სიტუაცია გვაქვს, რომ არ ვიცით, რა იქნება ხვალ. მთავრობა გვპირდება, რომ რაღაც განსაკუთრებული გეგმა აქვს, რომელიც განსხვავებულ პრინციპზე იქნება აგებული და მოქალაქეთა შემოსავლის მიხედვით განისაზღვრება.

ამჟამად კი, ასობით ადამიანს ექმნება პრობლემა გატარებული ცვლილების გამო, რადგან ე.წ. ორმაგი დაზღვევა უკვე ბევრს შეუჩერდა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გქონდათ „დაშენებული" პროდუქტი – ისეთი, როგორიც არის კლასიკური დაშენებული პროდუქტები: კარგი ამბულატორია, წამალი და თანადაფინანსება, რომლითაც თანხის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა შეიძლებოდა.

ახლა თქვენ დარჩით ჰოსპიტალური, ონკოლოგიური და სხვა სახის მკურნალობის დროს 2-3 ათასიანი ლიმიტის იმედად, რომელიც არაფერს ეყოფა. გამოდის, რომ გაქვთ კარგი ამბულატორია, წამალი, მაგრამ მკურნალობის ყველაზე ძვირი ნაწილის დაფინანსება არ გაქვთ.

***– ესე იგი, სრულ მკურნალობას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ვერ უზრუნველყოფს?***

– სახელმწიფო დაზღვევა სწორედ იმით არის უცნაური, რომ უკვე შემდგარ პრობლემას აფინანსებს და არაფერს აკეთებს, რომ ეს პრობლემა არ დადგეს – ეს არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის უცნაურობა, რის გამოც ბევრმა დამატებით შეიძინა „დაშენებული" პროდუქტები. მათ გაუუქმეს საყოველთაო დაზღვევა და ძალიან პატარა ლიმიტის იმედზე, ფაქტობრივად დაფინანსების გარეშე დატოვეს.

ეს პრობლემა უკვე შეეხო ათასობით ადამიანს. ახალი ხელშეკრულებები უფრო გაძვირებული იქნება, რადგან უფრო მეტი სერვისი უნდა იყიდოთ სადაზღვევოსგან. ამის მიზეზი ის არის, რომ სახელმწიფოსგან უკვე აღარაფერი გაქვთ. ვიღაც გაძვირებულ მომსახურებაზე დათანხმდება, ვიღაც უარს იტყვის და ისევ სახელმწიფო დაზღვევას აირჩევს.

***– თუმცა, სახელმწიფო გვეუბნება, რომ ძალიან მალე ამ სისტემაში მთავარი პრინციპი შეიცვლება.***

– თუ კიდევ რაღაცის შეცვლას აპირებდნენ, მაშინ რატომ შექმნეს ეს დაძაბულობა? – ძალიან აქტიური ლაპარაკი მიდის ამაზე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სადაზღვევო კომპანიებთანაც, მაგრამ სინამდვილეში რას და როგორ ცვლიან, მხოლოდ მთავრობამ იცის. მინისტრმა განაცხადა, რომ ყველაფერი მოქალაქის შემოსავლის მიხედვით განისაზღვრება. ჩვენც მივესალმებით, რომ ყველას შემოსავლის მიხედვით ექნება წვდომა ბიუჯეტის მიერ დაფინანსებულ სერვისებზე. ერთადერთი, მინისტრმა თქვა, რომ 40 ათასს ზემოთ ვისაც აქვს შემოსავალი, იმას არაფერი ექნება სახელმწიფოსგან.

ძალიან ჩქარობენ, აშკარაა, რომ რაღაც მოფიქრებული აქვთ, მაგრამ არავის არაფერს ეუბნებიან, ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია, თუმცა ვიდრე კიდევ რაიმეს შეცვლიდნენ, უნდა გაითვალისწინონ, რომ შეიძლება ადამიანი ღარიბი არ არის, მაგრამ სამედიცინო ხარჯების წინაშე საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანი ყოველთვის უძლურია.

ფაქტია, რომ ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებები უარყოფითად შეეხო 100.000 ადამიანს – ისინი დაზღვევის გარეშე დარჩნენ. ხვალ მათ გულის ოპერაცია ან ონკოლოგიური მკურნალობა რომ დასჭირდეს, დაფინანსება არ ექნებათ. იმედია, აპრილში ისეთ ცვლილებებს გაატარებენ, რომ უარყოფით შედეგებს აღარ მივიღებთ.

# 2017 წლის თებერვალში ფულადი გზავნილების მოცულობა 17.9%-ით გაიზარდა

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2017 წლის თებერვალში ფულადი გზავნილების მოცულობა 17.9 %-ით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2017 წლის თებერვალში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2017 წლის თებერვალში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 94.1 მლნ აშშ დოლარი, ანუ 248.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 17.9 პროცენტით (14.3 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2016 წლის თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში



ფულადი გზავნილების 90.0 პროცენტი იმ 11 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ თებერვალში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 11 ქვეყანაზე გასული წლის თებერვალში მთელი ფულადი გზავნილების 87.8 პროცენტი მოდიოდა.

იმ ქვეყნების ხუთეული, საიდანაც საქართველოში 2017 წლის თებერვალში ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი შემოვიდა, ასე გამოიყურება: რუსეთი (30.3 მლნ აშშ დოლარი), აშშ (10.2 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთი (10.1 მლნ აშშ დოლარი), იტალია (9.9 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი (7.6 მლნ აშშ დოლარი) და ისრაელი (7.6 მლნ აშშ დოლარი).

სებ-ის ინფორმაციით, 2017 წლის თებერვალში საქართველოდან საზღვარგარეთ 14.6 მლნ აშშ დოლარი (38.5 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 15.7 მლნ აშშ დოლარისა (39.0 მლნ ლარისა) გასული წლის თებერვალში.

# თებერვალში საარსებო მინიმუმი 1 ლარით და 60 თეთრით გაიზარდა

საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი მიმდინარე წლის თებერვალში 148 ლარითა და 90 თეთრით განისაზღვრა, რაც წინა თვის მონაცემზე 1 ლარითა და 60 თეთრით მეტია.

საქსტატის მონაცემებით, გასული წლის თებერვალთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 4 ლარითა და 40 თეთრით გაიზარდა.

საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმმა 2017 წლის თებერვალში 282 ლარი და 10 თეთრი შეადგინა, რაც იანვრის თვის მაჩვენებელზე 3 ლარითა და 20 თეთრით მეტია, წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემზე კი 8 ლარითა და 40 თეთრით მეტი.

საქსტატის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა მიმდინარე წლის თებერვალში 168 ლარი და 10 თეთრი შეადგინა, რაც წინა თვის მონაცემზე 1 ლარითა და 80 თეთრით მეტი, ხოლო გასული წლის ამავე მაჩვენებელზე 4 ლარითა და 90 თეთრით მეტია.

ოჯახის ტიპების მიხედვით საარსებო მინიმუმი თებერვლის თვეში ასე გადანაწილდა:

ერთსულიანი ოჯახი – 148 ლარი 90 თეთრი

ორსულიანი ოჯახი – 238 ლარი და 30 თეთრი

სამსულიანი ოჯახი – 268 ლარი



და 10 თეთრი

ოთხსულიანი ოჯახი – 297 ლარი და 90 თეთრი

ხუთსულიანი ოჯახი – 297 ლარი და 90 თეთრი

ექვსსულიანი ოჯახი – 396 ლარი და 20 თეთრი.

2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

# უჩა ნანუაშვილი: „საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოები ბავშვებისთვის სახიფათოა"

საქართველოს სახალხო დამცველმა მთავრობას რეკომენდაციით მიმართა. როგორც სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაშია ნათქვამი, სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა" თბილისის მაღაზიებში შეძენილი ათი დასახელების თოჯინა გერმანიაში სათამაშოების უსაფრთხოების შემმოწმებელ აკრედიტებულ ლაბორატორიაში გაგზავნა.

მიღებული პასუხების თანახმად, ათიდან ცხრა თოჯინაში დიდი ოდენობით ჯანმრთელობისთვის საზიანო ნივთიერება აღმოჩნდა.

– სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ" ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან, მხოლოდ 2019 წლისათვის არის გათვალისწინებული. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საჭიროა, სასწრაფოდ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები და „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ" დირექტივა 2019 წლის 1 სექტემბრამდე შესრულდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ეროვნული კანონმდებლობა აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებას, განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაც-



ვის მიზნით; კონტროლის არარსებობამ კი შესაძლოა აღნიშნულ სიკეთეებს საფრთხე შეუქმნას.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავრობას.

– რეაგირება მოახდინოს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე, გადადგას ქმედითი ნაბიჯები ბაზრის ზედამხედველობის კუთხით არასრულწლოვანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით და „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ" დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში 2019 წლამდე დაგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული ქმედებები საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის მოსაწესრიგებლად, სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებში, – ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაში.

# ახალი აქციზური განაკვეთით მხოლოდ 331 მსუბუქი ავტომობილია განბაჟებული

2017 წლის 1 იანვრიდან განსაზღვრული აქციზის ახალი განაკვეთით 331 ერთეული მსუბუქი ავტომობილია განბაჟებული. საუბარია 1 იანვარი – 11 მარტის პერიოდზე.

ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ცნობით, 11 მარტის მდგომარეობით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჯამში 247 ათასი სატრანსპორტო საშუალებაა შემოსული. აქედან 18.642 სატრანსპორტო საშუალება საზღვაო გზით, ფოთის და ბათუმის პორტებიდან შემოვიდა.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, მსუბუქ ავტომობილებზე აქციზი გაიზარდა. მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე კი გასამმაგდა.

საქსტატის ინფორმაციით, 2017 წლის იანვარში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში 5 მილიონი დოლარით შემცირდა. კერძოდ, 2017 წლის იანვარში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 27 მილიონი დოლარი იყო მაშინ, როცა 2016 წლის იანვარში იმპორტმა 32 მილიონი დოლარი შეადგინა.



# „ელისო კილაძის და ხატია დეკანოიძის შვილებს ნარკოტიკი შეიძლება ჩაუდეს“

## გელა ნიკოლაიშვილი: „ჩადების“ ტენდენცია გაძლიერდა“

ნონა ცაბაძე



**ბოლო დროს გართულებული კრომინოგენური ვითარების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.**

***– ბოლო ორი დღის განმავლობაში ჟურნალისტ ელისო კილაძის და ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ხატია დეკანოიძის ვაჟები დააკავეს. ამბობენ, რომ მათ ნარკოტიკი ჩაუდეს. რას იტყვით თქვენ, როგორც ადვოკატი?***

– დავიწყოთ ზოგადად, ამ ბოლო ხანებში გავრცელებული ტენდენციიდან. ძალიან ხშირად ისმის ამ ჩადებებთან დაკავშირებით. მე, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, პირადადაც მქონია შეხება რამდენიმე ფაქტთან, რომელზეც ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ჩადებული. ეს ადამიანები არიან ჩემი ნაცნობები, ყოფილი პატიმრები, გამორიცხულია, რომ მათ პირად საუბარში მაინც არ მითხრან სიმართლე, რეალურად ჰქონდათ თუ არა ეს ნარკოტიკული ნივთიერება.

ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია და უკვე ბევრი ლაპარაკობს, რომ რაღა განსხვავებაა იმ ხელისუფლებისგან, რომელიც ასეთი ჩადებებით იყო დაკავებული. სტატისტიკა ასეთია, ძირითადად ყოფილ პატიმრებს, ადრე დანაშაულში შემჩნეულ პირებს ემტერებიან.

***– ეს რამდენად ამართლებს სამართალდამცავების ქმედებას?***

– ბუნებრივია, არანაირად არ ამართლებს! ვინც ამას აკეთებს, ეს მათი მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაულია. მე ვერ დავიჩემებ, რომ ეს მასობრივად ხდება, თუმცა რამდენიმე ფაქტი დანამდვილებით ვიცი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მე არ შემიძლია თავი დავდო იმაზე, რომ თუნდაც ელისო კილაძის შვილს თუ ხატია დეკანოიძის შვილს არ ჩაუდეს.

***– რატომ, რადგან ასეთი ტენდენციაა?***

– დიახ. განსაკუთრებით თბილისში ეს აშკარად იგრძნობა. ვისაც ასეთ საქმეებთან შეხება აქვს, ის მე დამეთანხმება, რომ სამწუხაროდ, განსაკუთრებით ბოლო კვირების განმავლობაში, მსგავს ფაქტებს აქვს ადგილი.

***– რას უკავშირებთ ამ ყველაფერს? რატომ იმატა მსგავსმა ფაქტებმა?***

– ვერ გეტყვით. შესაძლოა მათ სწორად მიაჩნიათ ასეთი ტაქტიკა, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გართულდა და ყველა საეჭვო ადამიანს, ზოგს ეუბნებიან, რომ დატოვე ქვეყანა, ვინც ასწრებს, მიდის, ვინც ვერ ასწრებს წასვლას ან ამის საშუალება არა აქვს, იმას ასეთი ფორმით აკავებენ. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია არსებობს.

***– ამ კონკრეტულ ფაქტებზე რას იტყოდით? შვილები იქცნენ სამიზნედ?***

– ჩვენ გვესმის დაკავებულების განცხადებები, რომ ეს არის მათი მშობლების პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე. ასე ხშირად რომ არ ხდებოდეს ჩადების ფაქტები, მე უფრო მეტად დავიჯერებდი, რომ ესენი ჩვეულებრივი დამნაშავეები არიან, ჩვეულებრივად აღმოაჩნდათ ეს ნარკოტიკი და არავითარ პოლიტიკასთან შეხება არ გვაქვს, მაგრამ როდესაც მე ვხედავ, რომ ეს გამონაკლისი შემთხვევა არ არის, აქედან გამომდინარე, მე ვერ გამოვრიცხავ იმას, რომ შესაძლოა ეს მართლაც იყოს მათი მშობლების პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული. ეჭვის საფუძველი უბრალოდ არსებობს.

***– ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებმა რამდენად იმატა წინასწარი დაკავების იზოლატორებში?***

– ეს რომ მასობრივად ხდებოდეს, ამას ვერ ვიტყვი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ითქვა, რომ ელისო კილაძის შვილს შუბლზე დაზიანებები ჰქონდა, პოლიცია ამტკიცებს, რომ ეს მანამდე ჰქონდა. დაკავებულმაც თქვა, რომ მას ჰქონდა ძველი დაზიანებები და მხოლოდ ერთია ახალი, რომელიც დაკავების დროს მიაყენეს.

ნამდვილად არ არის ეს მასობრივად გავრცელებული ფორმა. ეს არც სჭირდება პოლიციას. თუ სერიოზულ წინააღმდეგობას არ უწევს ადამიანი და თუ გაქცევას არ ცდილობს, ასეთ შემთხვევაში პოლიცია კორექტულად მოქმედებს ხოლმე.

***– ეს ჩადება რამდენად არის კორექტული მოქმედება?***

– ჩადებას კორექტულად მოქმედებას ნამდვილად ვერ დავარქმევ. ქუჩაში რომ მიდიხარ შენთვის, უცებ ხელს გტაცებენ, მანქანაში ჩაგტენიან და იქ ნარკოტიკს ჩაგიდებენ, ესეც ძალის გამოყენებაა! მერე რა, რომ იქ ფიზიკური ზემოქმედება და ცემა-ტყეპა არ ხდება და ფიზიკური დაზიანების კვალი არ რჩება. ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი კანონის ფარგლებში მოქმედებენ. ამ შემთხვევაში მათი მიზანი არის ჩადება და არა ის, რომ ფიზიკური ტკივილი მიაყენონ.

***– რატომ იმატა სამართალდამცავი უწყების თანამშრომლების მხრიდან კანონდარღვევის ფაქტებმა? დამთავრდა დემოკრატიულობანას თამაში?***

– მე ვფიქრობ, რომ ეს არაპროფესიონალიზმის შედეგია, ნაკლები კომპეტენციის, ძალიან არასწორი მიდგომის, რომ თითქოს რაუნდების მსგავსი და ერთიანი შტურმის მსგავსი პოლიტიკა გამოასწორებს კრიმინოგენურ ვითარებას. თუ დააკვირდებით, ეს ხდება ხოლმე მაშინ, როდესაც რამდენიმე დანაშაული მიყოლებით მოხდება, ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა.

***– პოლიციაც მაშინ აქტიურდება?***

– სწორედ მაშინ აქტიურდება და მიადგებიან ხოლმე ისეთ ადამიანებს, რომლებიც მათი ყურადღების არეალში არიან მოქცეულები. პოლიცია ფიქრობს, რომ ესენი შეხებაში იქნებიან ამ კრიმინოგენური ვითარების გაუარესებასთან. მათ უკვე არ ჰყოფნით ის, რომ კანონიერ ქურდებს საერთოდ არ აჭაჭანებენ საქართველოში და ახლა პირიქით, გამკაცრებასაც მოითხოვენ ამ კანონმდებლობის.

მე არ მგონია, რომ კანონმდებლობის გამკაცრება შველოდეს საქმეს. საქმეს შველის მაღალი პროფესიონალიზმი! მით უმეტეს, ტექნიკური აღჭურვილობა ისეთი მაღალია, რომ ვიდეოთვალი იქნება, კანონიერი მოსმენები, თვალთვალი თუ ასე შემდეგ, ამით უნდა იხსნებოდეს საქმეები და არა ხელოვნური ჩადებებით და არასასურველი პირის მოშორებით.

***– ანუ არ ჰყავთ კონკრეტული დამნაშავე და ცდილობენ, საქმე ასე გახსნან?***

– ეს ერთი და თან მიაჩნიათ, რომ რადგან ადრე შემჩნეული იყო, ესე იგი პოტენციური დამნაშავეა და მისი ადგილი ციხეშია. ან გავუშვათ საქართველოდან, ან პირდაპირ გავუშვათ ციხეში!

***– ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საგრძნობლად იკლო პატიმრების რიცხვმა. როგორია სტატისტიკური მონაცემები? არის მატება?***

– 9.500 პატიმრიდან 10.000 პატიმრამდე მერყეობს. ეს ნორმალური რაოდენობაა, თუ შევადარებთ 25 ათასს, როგორც იყო სააკაშვილის პერიოდში, დღეს ორნახევარჯერ ნაკლებია. თუმცა ვიმეორებ, რომ არ შეიძლება ხელოვნურად შევამციროთ, ან გავზარდოთ ეს რიცხვი. ეს ადეკვატური უნდა იყოს იმისა, რა დანაშაულიც ხდება და რაც იხსნება.

ბუნებრივია, რომ დანაშაული მეტი ხდება და ყველა ვერ იხსნება, ყველას ვერ აკავებენ. ეს არის ის რიცხვი, ვისაც აკავებენ. სამწუხაროდ, ამ რიცხვში გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც დამნაშავეები არ არიან, მაგრამ მაინც აკავებენ. მადლობა ღმერთს, რომ ასეთები ძალიან ბევრნი არ არიან, მაგრამ იმ 10 ათასიდან 100 და 200 კაცი არის ასეთიც, რომელსაც საერთოდ არა აქვს დანაშაული ჩადენილი და უკანონო პატიმრებად არიან მიჩნეულნი.

***– ანუ უკანონო პატიმრებიც გვყავს?***

– დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ესენი არიან უკანონო პატიმრები, მაგრამ ადვოკატებს ძალიან გვიჭირს ჩვენი კანონმდებლობის პირობებში, რადგან ორი ან სამი პოლიციელი ამბობს, რომ პირს ჰქონდა ნარკოტიკი, პოლიციის ჩვენება ამ შემთხვევაში საკმარისია. ადვოკატებს კი არაფრის უფლება არ გვაქვს.

***– კონკრეტულად რისი უფლება?***

– ვთქვათ, არსებობს ვიდეოთვალის ჩანაწერი, როდესაც ქუჩაში ხდება ასეთი დაკავებები, არც ამის ამოღების უფლება გვაქვს. ეს ფარული საგამოძიებო მოქმედებებიაო. არსებობს მტკიცებულება და ჩვენ ამას ვერ ვიყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არათანაბარი პირობებია მხარეებს შორის, ამას მაინც არ მოჰყვა შესაბამისი კანონის ცვლილება და ვართ ასე ჰაერში გამოკიდებულები. ადვოკატი ხელ-ფეხ შეკრულია, რომ დაამტკიცოს კლიენტის უდანაშაულობა!

# თამარ ქალდანი: „2016 წელს სამართალდარღვევების რაოდენობა 3-ჯერ არის გაზრდილი“



– 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმა პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით არსებულ ტენდენციებზე საუბრისას განუცხადა.

მისი თქმით, წინა წელთან შედარებით 3-ჯერ არის გაზრდილი გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა, შესაბამისად, გაზრდილია ინსპექტორის აპარატის მიერ გატარებული ღონისძიებები როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციების მიმართულებით.

– მოქალაქეთა განცხადებების უმეტესი ნაწილი უკავშირდებოდა კერძო სექტორს და ამ კერძო სექტორიდან განსაკუთრებით მზარდი იყო განცხადებების რაოდენობა და შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობაც, როცა საქმე ეხებოდა ე.წ. ონლაინსესხების გამცემი კომპანიებისა და სესხის ამომღები კომპანიების მხრიდან მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ფაქტებს.

ასევე, მზარდია მოქალაქეთა განცხადებები სხვა მიმართულებებითაც. გამოვლენილ იქნა 11 დარღვევა ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით, პირდაპირი მარკეტინგის შემთხვევაში 30 დარღვევა დადგინდა, აქედან 27 შემთხვევაში მოხდა სანქციის შეფარდება ჯარიმის სახით.

ასევე, გაზრდილია მოქალაქეთა მომართვიანობა მათ უფლებებთან დაკავშირებით, როდესაც ისინი მათ შესახებ ჩანაწერებს ვერ იღებენ ორგანიზაციებისგან, – განაცხადა თამარ ქალდანმა.

მისივე თქმით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2016 წლის ანგარიშში არის კონკრეტული რეკომენდაციები, მათ შორის, შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით.

ანგარიშს თამარ ქალდანი 15 მარტს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს აცნობს. დოკუმენტი მიმოიხილავს ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით არსებულ ტენდენციებს, ინსპექტორის აპარატის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გამოწვევებს, გამოვლენილ სამართალდარღვევებს, მათზე რეაგირების შედეგებსა და სხვა პრობლემატურ საკითხებს.

ანგარიშის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში გამოვლინდა სამართალდარღვევის 221 ფაქტი; 63 ორგანიზაციას დაეკისრა ჯარიმა; 35-ს მიეცა გაფრთხილება; არაერთ საჯარო და კერძო დაწესებულებას დაევალა მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების გატარება და ამ მიზნით გაიცა 202 მითითება და რეკომენდაცია; 47 შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ მოხდა, ხოლო 6 შემთხვევაში, დანაშაულის ნიშნების არსებობიდან გამომდინარე, საქმე გადაეცა უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოს.

2015 წელთან შედარებით, 2016-ში 3-ჯერ გაიზარდა მოქალაქეების, საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის გაწეული კონსულტაციების რაოდენობა; ასევე 2-ჯერ გაიზარდა ფიზიკური პირების განცხადებებისა და ინსპექტირების რიცხობრივი მაჩვენებელი.

ინტერპრესნიუსი

# კახა ბუხრაძე აჭარლების „თათრებად“ მოხსენიების ბრალდებას ცილისწამებას უწოდებს



აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი კახა ბუხრაძე „ცილისწამებას“ უწოდებს ბრალდებას, თითქოს აჭარის რეგიონის მცხოვრებლებს „თათრები“ უწოდა.

კახა ბუხრაძემ ბათუმის მცხოვრებთა ნაწილის მხრიდან მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსთან“ ექსკლუზიური კომენტარი გააკეთა.

– საერთოდ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოუვიდეს ადამიანს თავში მსგავსი აზრი. შესაბამისად, ამაზე საერთოდ არ უნდა ვაკეთებდე ახლა კომენტარს და რაღაცნაირად თითქოს თავს ვიმართლებდე. ესაა ცილისმწამებლური განცხადება და გამეორებაც არ მინდა იმ ფრაზის, რაც ითქვა.

ვინც მე მიცნობს, წამითაც არ დაუშვებს იმას, რომ შეიძლებოდა მსგავსი რამ მეთქვა ან გამეფიქრებინა. ამის მოგონება და მერე ამაზე აპელირება, ეს არის ღალატი. სამარცხვინო იყო ამის დაბრალება ჩემთვის, – განუცხადა კახა ბუხრაძემ „ინტერპრესნიუსს“.

ინტერპრესნიუსი

## განცხადება

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი 2017 წლის 18 მარტს, შაბათს, 14 საათზე ატარებს რიგგარეშე ყრილობას.

**მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ა, მესამე სართული.**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## დღის კალენდარი

### 16 მარტისთვის



წლის 76-ე დღე ახალ წლამდე დარჩა 290 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

მღვდელმოწამისა თეოდოტე აღმსარებელისა, კვირინელი ეპისკოპოსისა (326); ქალწულმოწამისა ევთალიასი (257); მოწამისა ტროადისა და მისთანა წამებულთა (III); ღირსისა აგათონ ეგვიპტელისა (V); 440-თა იტალიელ მოწამეთა (579); წმ. არსენი ტვერელი ეპისკოპოსისა (1409); წმ. ნიკოლოზ პლანასი (1932).

**დაიბადნენ:**

1767 – ენდრიუ ჯექსონი, აშშ-ს მეშვიდე პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1845 წელს.

1854 – ემილ ადოლფ ფონ ბერინგი, გერმანელი ბაქტერიოლოგი და იმუნოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1917 წელს.

1868 – თედო სახოკია, მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოლოგი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1956 წელს.

1879 – ანრი ვალონი, ფრანგი ფსიქოლოგი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1962 წელს.

1909 – გრიგოლ კიკნაძე, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი. გარდაიცვალა 1974 წელს.

1937 – შოთა იამანიძე, გამოჩენილი სპორტსმენი, ფეხბურთელი. გარდაიცვალა 1971 წელს.

1948 – ლევან თედიაშვილი, სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა).

**გარდაიცვალნენ:**

ძვ.წ.44 – მოკლეს იულიუს კეისარი, რომაელი მხედართმთავარი, დიქტატორი.

1534 – ანტონიო კორეჯო, მაღალი აღორძინების პერიოდის იტალიელი ფერმწერი.

1673 – სალვატორ როზა, იტალიელი მხატვარი, პოეტი, მუსიკოსი, მსახიობი.

1947 – ჟან რიშარ ბლოკი, ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

1970 – ჯოზეფ მარტინ ბაუერი, მწერალი.

**მოვლენები:**

1493 – ქრისტეფორე კოლუმბი პირველი მსოფლიო მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა ესპანეთში.

1744 – საფრანგეთის მეფე ლუი XV ომი გამოუცხადა ინგლისს.

1818 – ალექსანდრე I-ის ეგიდით შეიმუშავეს რუსეთის პირველი კონსტიტუცია.

1892 – ამერიკელმა გამომგონებელმა ჯესი რენომ გამოიგონა პირველი ესკალატორი.

1939 – გერმანიამ დაიპყრო ჩეხოსლოვაკია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე.

უნგრეთი – 1848 წლის რევოლუციის დაწყების დღე.

ბელორუსი – კონსტიტუციის დღე.

ლიბერია – რობერტსის დღე.

*მედიანიუსი*

# ჩუბაისი: „რუსეთს უკრაინა არაფერში სჭირდება“

ევროკავშირმა რუსეთს სანქციები გაუგრძელა. ამან კრემლის იმედგაცრუება გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა:

– გულწრფელად იმედგაცრუებული ვარ! მეგონა, ევროპელები უფრო ჭკვიანები იყვნენ და უკრაინის გამო პრობლემებს არ შეიქმნიდნენ. სანქციებით ხომ ჩვენც ვზარალდებით და ისინიც!

რუსეთში სხვა პოზიციაც არსებობს. ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის დირექტორი იგორ ჩუბაისი მიიჩნევს, რომ რუსეთის მიმართ სანქციები სრულიად სამართლიანად შემოიღეს.

– სანქციები რომ არა, ახლა უკვე რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომი იქნებოდა, – ამბობს ჩუბაისი.

ექსპერტის აზრით, რუსეთში დღეს რომანტიზმი პრაგმატულ აზროვნებას სჯობნის. რუსების 70%-ს იმპერიისადმი ნოსტალგია გააჩნია. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ იმპერიის დრო წავიდა. მეტიც, იმპერიის აღდგენა თავად რუსეთისთვისაა წამგებიანი.



– წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი ხვალ უკრაინა რუსეთს შეუერთდება. ზარალი, რომელიც რუსეთის ეკონომიკას მიადგება, ტრილიონ დოლარს მიაღწევს. ქვეყანაში ელემენტარულად პურის პრობლემა შეიქმნება, – თვლის ჩუბაისი.

ექსპერტის აზრით, რუსეთს უკრაინა უკვე აღარაფერში სჭირდება. კარგა ხანია წავიდა ის დრო, როცა დონბასი საკავშირო „კოჩეგარკას“ წარმოადგენდა, ან უკრაინა ხორბლით მთელს იმპერიას კვებავდა. კუზბასის ქვანახშირი უკრაინულზე ბევრად უკეთესია, პური კი უკვე ციმბირშიც მოჰყავთ. უკრაინა გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან საკავშირო დოტაციაზე იმყოფებოდა და მას მოსკოვი ინახავდა.

– ვაცლავ ჰაველი მიხვდა, რომ სლოვაკეთი ჩეხეთისთვის ტვირთი იყო და მის დამოუკიდებლობასაც დათანხმდა. ასევეა ჩვენთვის უკრაინა! რასაკვირველია, უკრაინელებს რომ თავი ჩვენს მოძმეებად აღექვათ, სხვა საქმე იქნებოდა, მაგრამ ქვეყანა, რომელმაც პეტლიურა და ბანდერა გმირებად აღიარა, სადაც მადლობის ნაცვლად ტყვიებს გვესვრიან, არ გვჭირდება!

ჩუბაისმა მიუთითა, რომ პუტინი იმ იმპერიული ნოსტალგიის მძევალია, რომელიც თანამედროვე რუსეთშია გამეფებული. მან ახალი დემოკრატიული ქვეყანა ვერ ააშენა, ამიტომაც იძულებულია, იმპერიულ გრძნობებს დაემორჩილოს. მაგრამ პუტინი პრაგმატიკოსია. ის დღეს დონბასში ჰიბრიდულ ომს აწარმოებს, რადგან ეს მისთვის ხელსაყრელია, თუმცა ომმა, პლუს სანქციებმა, რუსეთის ეკონომიკას უმძიმესი დარტყმა მიაყენა. ამას რუს ჯარისკაცებს შორის მსხვერპლიც ერთვის.

შედეგად ახლოვდება დრო, როცა რუსეთი ომის წარმოებას ფიზიკურად ველარ შეძლებს. პუტინიც თავის პოლიტიკას შეცვლის, დონბასიდან ჯარს გაიყვანს და მთელ ყურადღებას რუსეთში მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი რეფორმების გატარებაზე გადაიტანს.

– ამას რუსეთში პინოჩეტის ყაიდის დიქტატურის დამყარება დასჭირდება. პუტინი ამას შეძლებს და ახალ სიტუაციაშიც ძალაუფლებას შეინარჩუნებს! – აცხადებს ჩუბაისი.

ექსპერტის აზრით, დღევანდელი მდგომარეობა კიდევ წელიწადნახევარს გასტანს. ამის შემდეგ რუსეთის გაღატაკებული, გაწამებული მოსახლეობა ყველაფერს შეეგუება, მათ შორის იმასაც, რომ დონეცკზე უკრაინული დროშა აფრიალდება.

მანამდე კი დონბასის ომი გაგრძელდება. შესაბამისად შენარჩუნდება აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციებიც.

# მაკედონიაში მდგომარეობა იძაბება



მაკედონიაში დაიძაბა ურთიერთობები მაკედონელებსა და ალბანელებს შორის.

ეს არჩევნებში ნაციონალისტური ორიენტაციის ორგანიზაციის გამარჯვებამ განაპირობა.

ალბანურმა პარტიებმა მასთან კოალიციაზე უარი განაცხადეს. პრეზიდენტი ივანოვიც, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია, იძულებული გახდა, გაეფორმებინა კოალიცია ალბანელებთან.

ამან ნაციონალისტები აღაშფოთა.

სკოპიესა თუ სხვა ქალაქებში მაკედონელი ნაციონალისტების მიერ ორგანიზებული დემონსტრაციები დაიწყო. ალბანელებმა კონტრდემონსტრაციები მოაწყვეს. წარმოიშვა შეტაკების რეალური საფრთხე.

თუკი მაკედონელებსა და ალბანელებს შორის შეტაკებები დაიწყო, ეს მთელი ბალკანეთის დესტაბილიზაციას გამოიწვევს.

# ფიიონს ბრალი წაუყენეს



საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატ ფრანსუა ფიიონს სახელმწიფო ქონების განიავებაში დასდეს ბრალი.

მის წინააღმდეგ გამოძიება ოფიციალურად დაიწყო.

ექსპერტები თვლიან, რომ სკანდალმა შესაძლოა საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი პრობლემები შეუქმნას.

თავად ფიიონი ბრალდებას უარყოფს.

– ეს აბსოლუტური სიცრუეა! მე პატიოსანი კაცი ვარ, – ამბობს ფიიონი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ტრამპი ჩინეთის ლიდერთან შეხვედრას აპირებს





6-7 აპრილს ტრამპის რეზიდენციაში ატლანტიკის ოკეანის, კერძოდ აშშ-ჩინეთის სამიტი გაიმართება.

ამ დროს ტრამპი ჩინეთის ლიდერ სი ცზენ პინს შეხვდება.

ტრამპი ამ შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ლესტერისა და შექსპირის ევროსონეტი



**ლესტერი-სევილია 2:0**

**ლესტერი.** კინგ ფაუერ სთედიუმი

1:0 მორგანი (27), 2:0 ალბირგტონი (54)

მე-80 წუთზე ნზონზიმ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**ლესტერი:** შმეიხელი, სიმპსონი, მორგანი, ჰუტი, ფუხსი, მარეზი (ამარტეი 90), დრინკვოთერი, ნდიდი, ალბირგტონი, ვარდი, ოკაზაკი (სლიმანი 64)

**სევილია:** სერხიო რიკო, მერკადო (მარიანო 46), პარეხა, რამი, სარაბია (იოვეტიჩი 46), იბორა, ნზონზი, ესკუდერო, ვიტოლო, ნასრი, ბენ იადერი (კორეა 68)

**გაძევება:** ნასრი (74)

მას შემდეგ, რაც ლესტერმა მწვრთნელი შეიცვალა და გუნდიდან გაგდებული გასული სეზონის გმირი კლაუდიო რანიერი კრეიგ შექსპირმა ჩაანაცვლა, ინგლისური გუნდი ათამაშდა და შინაურ ჩემპიონატში 2 გამარჯვების შემდეგ ჩემპიონთა ლიგაზეც იმარჯვა. მოგებაც გააჩნია – სევილიასთან მატჩ-სპექტაკლში დიდებულად ითამაშა და ზუსტად ისეთი თამაში აჩვენა, როგორსაც გასულ სეზონში მიაჩვია გულშემატკივარი.

სევილიამ პირველი ტაიმი ისე ჩაატარა, რომ სევილიას მისთვის მიუჩვეველ მდგომარეობაში ჩააყენა. ანდალუსიელებს ბურთის დიდხანს ფლობა სურდათ, როგორც ეს ესპანეთში მოხდა, მაგრამ იძულებული იყვნენ, მეტოქეს სისწრაფეში აყოლოდნენ. ამასთან, საკუთარ ნახევარზე მჭიდრო და ხისტ პრესინგს აწყდებოდნენ. სევილიას ასევე უჭირდა ჯეიმი ვარდის შეჩერება, რომელიც ბურთით თუ უბურთოდ ბევრს მოძრაობდა და 27-ე წუთზე სახიფათო სტანდარტიც მოუპოვა გუნდს, რომელიც მორგანმა გოლად აქცია. ცხადია, საგოლე პასი მარეზის ანგარიშზეა. მორგანი კი, პირველი იამაიკელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის არსებობის ისტორიაში გოლი გაიტანა.

გაშვებული გოლის შემდეგ სევილია შედარებით გააქტიურდა, მაგრამ მხოლოდ ცალი მხრიდან – საერთოდ არ ჩანდა მარცხენა ფლანგი, რის გამო ხორხე სამპაოლიმ შესვენებაზე 2 ცვლილებას მიმართა და სქემა გადააწყო, მაგრამ, ამაოდ...

ლესტერი დაუნდობელი და ეფექტური იყო. ერთ-ერთი შეტევის დროს ობრაიტონი ზუსტად ჩაუსაფრდა მცველების მიერ ცუდად ამოტანილ ბურთს – 2:0.

ამას სევილიასთვის ამოცანა არ შეუცვლია – ისევ გოლის გატანა სჭირდებოდა, რათა თამაში მინიმუმ დამატებით დროში გადაეყვანა. შეუტია კიდეც, რის შემდეგ „მელიები" ცოტა ხნით „სოროში" შეიმწყვდია, მაგრამ აქ უკვე ვარდიმ იმდენი მოახერხა, რომ ნასრი, რომელიც ინგლისელის პროვოკაციაზე წამოეგო, მოედნიდან გააგდებია.

და მაინც, კაცნაკლულ სევილიას შანსი ჰქონდა: ვიტოლომ პენალტი დაიმსახურა, 11 მეტრიდან კი ნზონზიმ დაარტყა, როგორც პირველ მატჩში, შმეიხელმა ახლაც აჯობა დამრტყმელს. „მელიები" მეოთხედფინალში გავიდნენ...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კასპერ შმეიხელი**

ლესტერის დანიელი მეკარე ისევ გმირი გახდა. კასპერ შმეიხელი პირველი მეკარეა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის არსებობის ისტორიაში პენალტი პლეი-ოფის ორივე მატჩში მოიგერია. ვთვლით, რომ ლესტერში ეს უფრო მნიშვნელოვნი იყო, ვიდრე პირველ მატჩში, რადგან სევილიელებს გარდატეხის შეტანის შანსიც არ დაუტოვა.

**იუვენტუსი-პორტუ 1:0**

**ტურინი.** იუვენტუს სთედიუმი
1:0 დიბალა (42პ)

**იუვენტუსი:** ბუფონი, დანი ალვეში, ბონუჩი, ბენატია (ბარძალი 60), ალექს სანდრო, ხედირა, მარკიზიო, კუადრადო (პიაცა 46), დიბალა (რინკონი 78), მანჯუკიჩი, იგუაინი

**პორტუ:** კასილიასი, მაქსი პერეირა, ფელიპე, მარკანო, ლაიუნი, დანილო, ანდრე ანდრე, ოლივერ ტორესი (ოტავიო 70), ბრაჰიმი (დიოგო ჟოტა 67), სოარეში, ანდრე სილვა (ბოლი 46)

**გაძევება:** მაქსი პერეირა (40)

აქ უკვე სენსაცია არ მოხდა. მეტიც, საპასუხო მატჩიც პირველი შეხვედრის სცენარის მსგავსი იყო. იუვეს ორბურთიანი ჰანდიკაპი ჰქონდა და თავად ისე თამაშობდა, რომ მთელი ენერგია არ დაუხარჯავს. ეს იმის ბრალიც იყო, რომ ვერც პორტუ ბრწყინავდა შეტევაში. ტურინელები კი, როდესაც მოინდომებდნენ, მაშინ ქმნიდნენ ხიფათს.

ტაიმის ბოლოს, ერთ-ერთი ასეთი შეტევისას, ჯერ იკერ კასილიასმა განახორციელა სეივი, დამატებაზე გონსალო იგუაინი ურტყამდა, რის შემდეგ, მეკარის მსგავსად, მაქსი პერეირამ ითამაშა და პენალტთან ერთად წითელი ბარათიც გაიყოლა. პაულო დიბალა ამჯერადაც ზუსტი იყო...

მე-2 ტაიმში ტურინელებს დრო გაჰყავდათ ბურთის ფლობით, რომელიც დიდი პროცენტით ჰქონდა, უმცირესობაში მყოფი პორტუ კი ცდილობდა პრესტიჟის გოლი მაინც გაეტანა და რამდენჯერმე ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ სიზუსტე აკლდათ.

საბოლოოდ, იუვენტუსმა მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

პორტუელმა კასილასმა იუვენტუსთან უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებზე კარიერაში 175-ე დაპირისპირება ჩაატარა და ამით ლეგენდარულ პაულო მალდინის გადაასწრო. 2015 წლამდე, სანამ პორტუს წევრი გახდებოდა, მადრიდის რეალის რიგებში ჩემპიონთა ლიგაზე 157-ჯერ დაიცვა კარი. მეორე ადგილს მალდინი (174) იკავებს, ხოლო შემდეგ მოდიან – ჩავი (173), კლარენს ზეედორფი (163) და რაული (161).

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – პაულო დიბალა**

მიუხედავად იმისა, რომ ტურინელთა მთელი გუნდი მშვიდად ირჯებოდა, ერთადერთი დიბალას არ ეტყობა ეს სიმშვიდე, რომელიც მუდმივად ცდილობდა გამწვავებას.

# მიულერი, ალკანტარა, კოშტა – ბაიერნს მათ შესანარჩუნებლად ბრძოლა მოუწევს

მომავალ ზაფხულს მიუნხენის ბაიერნს დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევს ფეხბურთელების შესანარჩუნებლად.

უმთავრესი ამბავი ტომას მიულერის იქნება – მანჩესტერ იუნაიტედი მის შეძენას წარსულში უკვე ცდილობდა და მაშინ მიუნხენელებმა დაადასტურეს, რომ მსოფლიო სარეკორდო შეთავაზებაზეც კი თქვეს უარი.

მაგრამ ევროპული მედიის ცნობით, ამჯერად თავად ფეხბურთელს სურს „ოლდ ტრაფორდზე" გადასვლა. წარსულისგან განსხვავებით, მიულერი კარლო ანჩელოტის გუნდის



სასტარტო შემადგენლობის რეგულარული წევრი აღარ არის, ამიტომაც უფრო მეტი სათამაშო დროის მიღების იმედით, კლუბის შეცვლას გეგმავს.

ასეთ კლუბად კი მიულერს იუნაიტედი მიაჩნია, სადაც ჟოზე მოურინიოსთან მუშაობის საშუალება ექნება.

ბრაზილიელი ნახევარმცველი ტიაგო ალკანტარა ბარსელონას მთავარი სამიზნე იქნება. ალკანტარა ბარსას ექსფეხბურთელია.

25 წლის გაესპანელებულ ფეხბურთელს „ლურჯ-ბროწეულისფერთა" სპორტული დირექტორი, რობერტო ფერნანდესი ბოლო დროს აქტიურად აკვირდებოდა.

ფერნანდესი ბაიერნი-არსენალის ორივე მატჩს დაესწრო და მისი მიზანი არა მხოლოდ ექტორ ბელერინის დაკვირვება იყო, არამედ ტიაგოსიც.

ესპანური პრესის ინფორმაციით, „ბლაუგრანა" ყველაფერს გააკეთებს ალკანტარას მშობლიურ კლუბში დასაბრუნებლად და გუნდებს შორის მოლაპარაკებები მალე დაიწყება.

ტურინის იუვენტუსის იტალიელი მთავარი მწვრთნელი, მასიმილიანო ალეგრი კი, ბაიერნის ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველის, დუგლას კოშტას ტრანსფერის განხორციელებით აქტიურად არის დაინტერესებული. როგორც იტალიური მედია იტყობინება, ტურინელთა გენერალური დირექტორი ჯუზეპე მაროტა, სპეციალურად ამ მიზნით, მიუნხენის ბაიერნის მიერ ჩემპიონთა ლიგის ეგიდით გამართულ შეხვედრებს დაესწრო და კმაყოფილი დარჩა ბავარიელი ნახევარმცველის ასპარეზობით.

თავად ბავარიელთა სამიზნე დორტმუნდის ბორუსიას ახალგაზრდა ფეხბურთელი კრისტიან პულიშიჩია.

18 წლის პულიშიჩი „შავ-ყვითელთა" რიგებში 2016 წლიდან ასპარეზობს და დორტმუნდელებთან კონტრაქტი 2020 წლამდე არის გათვალისწინებული. მიმდინარე სეზონში ახალგაზრდა ფეხბურთელმა ბუნდესლიგის ეგიდით გამართულ 20 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 3 გატანილი გოლისა და 5 საგოლე გადაცემის ავტორია.

# ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა ლიდერობა დაიბრუნეს



გოლდენ სტეიტ უორიორსმა მორიგი გამარჯვება ბრძოლაში მოიპოვა. კევინ დიურანტის გარეშე ოკლენდელებს თითოეული გამარჯვება ძვირად უჯდებათ და ასე იყო ალმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ აუტსაიდერ ფილადელფიასთან. შეხვედრაში, რომლის უმეტეს დროს ფილადელფია იგებდა და რომელშიც ლიდერი 20-ზე მეტჯერ შეიცვალა, გოლდენსტეიტელებმა 106:104 იმარჯვეს.

ბოლო პერიოდის წინ ოკლენდელები 12 ქულით – 78:90 აგებდნენ, თუმცა გადამწყვეტ მომენტში მოახერხეს მეტოქის გატეხვა, სამიზნე გაისწორეს და მეოთხედის 28:14 მოგებით საბოლოო გამარჯვება გაიფორმეს.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა მოედანზე მხოლოდ 12 წუთი დაჰყო. ქართველ ცენტრს თამაშიდან სროლა არ წაუვიდა და 5-ივე ორქულიანი ააცილა. ზაზამ 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და შეხვედრა 2 ქულით, 5 მოხსნით, 2 ჩაჭრით, 1 პასით და 1 დაფარებით დაასრულა.

ოკლენდელთაგან 29 ქულით ბომბარდირი გახდა სტეფ კარი, თუმცა უფრო სარგებლიანი დრეიმონდ გრინი გახლდათ, რომელმაც 20 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი, 6 დაფარება და 4 ჩაჭრა მიითვალა.

ამ მატჩამდე დასავლეთ კონფერენციას და ლიგას 53 მოგებითა და 12 მარცხით 2 ლიდერი ჰყავდა – გოლდენ სტეიტი და სან ანტონიო. ფილადელფიასთან გამარჯვებით ფაჩულიას გუნდი დაწინაურდა.

# ხინჩეგაშვილი და პეტრიაშვილი მსოფლიო ნაკრებში იჭიდავებენ



24 მარტს რუსეთის ქალაქ ვლადიკავკაზში ამხანაგურ შეხვედრაში ერთმანეთს რუსეთისა და მსოფლიოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები დაუპირისპირდებიან. მსოფლიოს ნაკრებში მიწვეულნი არიან ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და ოლიმპიური პრიზიორი გენო პეტრიაშვილი დაიცავენ.

დაპირისპირებაში მსოფლიო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლიმპიური ჩემპიონი, ირანის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი რასულ ხადემი იქნება, რუსეთის ნაკრებს კი ჯამბულატ თედეევი უთავკაცებს. გუნდების სრული შემადგენლობები 20 მარტისთვის დასახელდება.

თავისუფალი ჭიდაობის მსოფლიო რეიტინგში ვლადიმერ ხინჩეგაშვილი კვლავინდებურად ინარჩუნებს ლიდერობას 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ხოლო პეტრიაშვილი მსოფლიოს თასზე მოპოვებული 4 გამარჯვების შედეგათ რეიტინგში მეორე ადგილზე დაწინაურდა. რეიტინგს კი თურქი ოლიმპიური ჩემპიონი ტაჰა აკგული ლიდერობს.

## შედეგები

**14 მარტი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი-პორტუ | 1:0 |
| ლესტერი-სევილია | 2:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბრენტფორდი-ვილვზი | 1:2 |
| ფულემი-ბლექბერნი | 2:2 |

**გერმანია. თასი**

| | |
|---|---|
| ლოტე-დორტმუნდი | 0:3 |

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

| | |
|---|---|
| იაბლონეცი-ჰრადეც კრალოვე | 2:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს უშვილობას

ეკა ირემაშვილი

**უშვილობა მნიშვნელოვანი სამედიცინო და სოციალური პრობლემაა. უშვილობას უნაყოფობას, ანუ სტერილობასაც უწოდებენ. მისი სიხშირე საშუალოდ 15-18%-ია.**

რა იწვევს უშვილობას, რას ნიშნავს პირველადი და მეორადი უშვილობა, როდის და რა გამოკვლევები უნდა ჩაიტარონ წყვილებმა, რომელთაც შვილი არ ჰყავთ, ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური დირექტორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი ლალი ფხალაძე საუბრობს.

**ლალი ფხალაძე:**

– უშვილობა მნიშვნელოვანი სამედიცინო და სოციალური პრობლემაა. უშვილობას უნაყოფობას, ანუ სტერილობასაც უწოდებენ. მისი სიხშირე საშუალოდ 15-18%-ია.

***– რას ნიშნავს პირველადი და მეორადი უშვილობა?***

– უშვილობა შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი. როცა წყვილი – ქალი და მამაკაცი ერთი წლის განმავლობაში ეწევა რეგულარულ სქესობრივ ცხოვრებას, არ იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს და არ დგება ორსულობა, ეს პირველადი უშვილობაა. თუ ქალს ერთხელ მაინც ჰქონდა ორსულობა, რომელიც დასრულდა ჯანმრთელი შვილის დაბადებით ან ორსულობა შეწყდა რომელიმე ვადაზე და ამის შემდეგ ქალი აღარ ორსულდება, ეს მეორადი უშვილობაა.

***– ხშირად უშვილობაში ქალს „ადანაშაულებენ“.***

– უშვილობაში „დამნაშავე“ შეიძლება იყოს ქალი – 40%-ში, მამაკაცი – 40%-ში ან ორივე ერთად – 20%-ში. უშვილობის მიზეზები ძალიან ბევრია. ყველაზე ხშირია ანთებითი დაავადებებით გამოწვეული უშვილობა, რასაც, თავის მხრივ, იწვევს სხვადასხვა ინფექცია. ისინი აზიანებენ ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციულ ორგანოებს, ქალებში იწვევს საშვილოსნოს მილების გაუვალობას, შეხორცებებს, კაცებში – თესლგამომტანი სადინარის დახშობას და აზოოსპერმიას – სპერმაში სპერმატოზოიდების არ არსებობას.

შემდეგ მოდის ჰორმონული დარღვევები, ქალის ორგანიზმში არ ხდება კვერცხუჯრედის მომწიფება – ოვულაცია და, შესაბამისად, არ ხდება განაყოფიერება.

იმუნური დარღვევები – წყვილთა შეუთავსებლობა, გენეტიკური დაავადებები, საშვილოსნოს და საშვილოსნოს ღრუს პათოლოგიები – მიომა – ფიბროიდები, ენდომეტრიოზი, პოლიპები, სინექიები – შეხორცებები, სისხლის შედედების სისტემის ცვლილებები უშვილობის ხშირი მიზეზია.

არსებობს დაუდგენელი მიზეზებით გამოწვეული უშვილობაც. ძალზე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორი – უშვილობით გამოწვეული სტრესი კიდევ უფრო ამძიმებს ამ პრობლემას და თავად ხდება ხელის შემშლელი დაორსულებაში.

***– როდის და რა გამოკვლევები უნდა ჩაიტარონ წყვილებმა, რომელთაც შვილი არ ჰყავთ?***

– როდესაც ახალგაზრდა ქალსა და მამაკაცს ერთი წლის განმავლობაში დაუცველი რეგულარული სქესობრივი ცხოვრების შემდეგ შვილი არ უჩნდება, ეს ნიშნავს, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული სამედიცინო პრობლემები და აუცილებლად უნდა მიმართონ რეპროდუქტოლოგს. აქვე განვმარტავ, რომ დაუცველი სქესობრივი კავშირი ნიშნავს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების გარეშე ცხოვრებას.

***– ასაკი თუ არის გადამწყვეტი?***

– თუ წყვილის ასაკი 35 წელზე მეტია, ასეთ შემთხვევაში სასურველია ექიმთან ვიზიტი უფრო ადრე მოხდეს – 6 თვის შემდეგ. თუ წყვილს აქვს კონკრეტული ჩივილები, მაგალითად, ქალებს – მენსტრუაციული ციკლის დარღვევა – არარეგულარული მენსტრუაცია გადაცდენებით, ყავისფერი ჩამონაშალი მენსტრუაციის წინ, მენსტრუაციის ბოლოს ან შუაში, ტკივილი მენსტრუაციის დროს ან მისგან დამოუკიდებლად, ტკივილი სქესობრივი კონტაქტისას, გამონადენი სასქესო გზებიდან, ჭარბთმიანობა, კანის ცხიმიანობა, გამონაყარი, რძისებრი გამონადენი სარძევე ჯირკვლებიდან, თმის ცვენა, ფრჩხილების მტვრევა და ასე შემდეგ, ასეთ შემთხვევაში ექიმთან ვიზიტი არ უნდა გადაიდოს.

***– როგორ ხდება მამაკაცებისა და ქალების შვილოსნობის ფუნქციის შეფასება?***

– შვილოსნობის ფუნქციას მამაკაცებში ვაფასებთ შედარებით სწრაფად, სპერმის გამოკვლევით. მამაკაცი საშუალოდ 4-5 დღე თავს იკავებს სქესობრივი კონტაქტისგან, იცავს დიეტას – არ იღებს ალკოჰოლს, მჟავე, ცხარე, მწარე საკვებს და ამის შემდეგ მიდის ანალიზის ჩასაბარებლად.

ქალებში პირველ რიგში ვაფასებთ საკვერცხის ფუნქციას, ექოსკოპით ვაკვირდებით კვერცხუჯრედის მომწიფებას, ვადგენთ აქვს თუ არა ოვულაცია, სრულფასოვანია თუ არა ყვითელი სხეული. ინფორმაციულია ამ თვალსაზრისით ე.წ. ბაზალური თერმომეტრიის გამოკვლევა, რაც გულისხმობს უკანა ტანში დილით, საწოლიდან ადგომამდე 5-7 წუთის განმავლობაში, ტემპერატურის გაზომვას ვერცხლისწყლის სვეტის თერმომეტრით. 35 წლის შემდეგ აუცილებელია ანტიმიულერის ჰორმონის განსაზღვრა საკვერცხის რეზერვის შესაფასებლად.

მნიშვნელოვანია საშვილოსნოს მილების გამავლობისა და საშვილოსნოს ღრუს გამოკვლევა, რისთვისაც საუკეთესოა რენტგენული კვლევა – ჰისტეროსალპინგოგრაფია.

სხვა კვლევები – ჰორმონების, ინფექციების, იმუნური და სისხლის შედედების ფაქტორების, გენეტიკური და ა.შ. ჩატარება განისაზღვრება ინდივიდუალურად, საჭიროების მიხედვით.

სრული გამოკვლევებისა და სათანადო მკურნალობის შემდეგ, როდესაც ორსულობას ვერ ვიღებთ, ან, როდესაც უშვილობის მიზეზი ვერ დგინდება, კეთდება სადიაგნოსტიკო ლაპარასკოპია და ჰისტეროსკოპია. აღნიშნული ოპერაცია აუცილებლად უნდა გაკეთდეს თუ უშვილობის ხანგრძლივობა ორი წელზე მეტია – უფრო ადრეც, თუ ამას პაციენტის სამედიცინო მდგომარეობა მოითხოვს.

ლაპარასკოპია კი ოქროს სტანდარტია უშვილობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.



ლალი ფხალაძე

## კალეიდოსკოპი

### ტაილანდში სპილოებს „შვედური მაგიდა“ გაუშალეს



ტაილანდის ქალაქ კანჩანაბურიში ერთ-ერთმა ადგილობრივმა ფონდმა სპილოებისთვის „შვედური მაგიდა“ გაშალა, რომელიც ხილისა და ბოსტნეულისგან შედგებოდა და მათ ეროვნულ დღეს ეძღვნებოდა. დღესასწაულის ამსახველი ვიდეოანგარიში ორგანიზატორებმა იუთუბიზე განათავსეს.

ვიდეორგოლში ტრადიციულ კოსტიუმებში გამოწყობილი ადგილობრივი მცხოვრებლები უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე და მღერიან, ხოლო ცხოველები შეექცევიან ბანანებსა და საზამთროებს, რომლებიც ლერწმისგან დამზადებულ მაგიდებზეა დალაგებული.

ფონდის მფლობელის თქმით, მათ ასეთი სახით სურდათ მადლობა გადაეხადათ სპილოებისთვის იმ დახმარებისა და მძიმე შრომისთვის, რომელსაც ისინი მათ მეურნეობებში ასრულებენ. ასევე ამით მათ პატივი მიაგეს ტრადიციებს.

ტაილანდში სპილოს ეროვნული დღე 1998 წლიდან მოყოლებული ყოველი წლის 13 მარტს აღინიშნება. მთელ სამეფოში ტარდება ბუდისტური ცერემონიები, ხოლო ცხოველებისთვის სადღესასწაულო სადილი იმართება.

### ამერიკელმა პენსიონერებმა ქათმებს ტანსაცმელი მოუქსოვეს



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის მცხოვრებმა პენსიონერებმა ქათმებისთვის ჯემპრების მოქსოვა დაიწყეს. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

ქსოვის მოყვარულთა კლუბის წევრებმა, რომელიც ქალაქ ბოსტონის მოხუცებულთა სახლში მდებარეობს, გადაწყვიტეს, დაეხმარონ ტროპიკული ჯიშის ქათმებს, რომლებსაც უჭირთ ცივი ზამთრის გადატანა.

მათ მოქსოვილი ჩასაცმელები მეზობლად მდებარე ფერმას გადასცეს, სადაც მალაიზიიდან ჩამოყვანილი ქათმები ბინადრობენ. ფერმის დიასახლისი ამტკიცებს, რომ ამის შედეგად ქათმებმა კვერცხის დებას მოუმატეს.

– ვფიქრობ, ცხოველებსაც სჭირდებათ სითბო, – ამბობს ქსოვის კლუბის ერთ-ერთი წევრი, 76 წლის ლიბი კაპლანი, – მიხარია, რომ ჩვენ ეს გავაკეთეთ.

– ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ვინმე ქათმებისთვის ჩასაცმელების ქსოვას დაიწყებდა, – აღიარა 76 წლის ბარბარა ვიდმეიერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

16 მარტისათვის



**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში საქმეს მინიმალური ძალისხმევა დასჭირდება. პარტნიორებთან კონტაქტი გაამართლებს. **კურო** – პროფესიულ სფეროში არ იაქტიუროთ. უმჯობესია, გაისეირნოთ ბუნების წიაღში, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. **ტყუპები** – მოსალოდნელია ფინანსური სირთულეები. ამის მიუხედავად, ოპტიმისტურად განეწყვეთ. მალე სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ შეიცვლება. **კირჩხიბი** – მიზანს საკმაოდ სწრაფად მიაღწევთ. არ დაივიწყოთ ახლო ნათესავები. მათ თქვენი თანადგომა სჭირდებათ. **ლომი** – ბევრი საქმე გაქვთ. ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა არც ისე მარტივი იქნება, როგორც გგონიათ. **ქალწული** – დასვენება გჭირდებათ. გადაღლა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ეცადეთ, დახურულ სივრცეში დიდხანს არ დარჩეთ. **სასწორი** – სიამაყე და სიჯიუტე უსიამოვნებას შეგამთხვევთ. იყავით უფრო ლმობიერი და დამთმობი. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ძალიან მოგიხდებათ წყლის პროცედურები. ახალი ნაცნობობის შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური საქმიანობისათვის. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო ახალი ნივთის შეძენისას. **მერწყული** – თქვენს ნიჭსა და პროფესიონალიზმს ფართო გასაქანი ეძლევა. არ იზარმაცოთ. **თევზები** – დაუმთავრებელ საქმეებს ნუ დაიგროვებთ. კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისა და დასვენებისათვის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე, მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ქართული ტელეკომპანია; 5. ბუნებრივი მინერალური საღებავი, ჟანგმიწა; 6. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 8. რუსეთში მოღვაწე ქართველი საესტრადო მომღერალი მამაკაცი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკისადმი; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. აეროპორტი ბუქარესტში; 15. ყოველდღიური გაზეთი ავსტრალიაში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო-დამსჯელი ორგანო შუა საუკუნეებში; 7. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 4. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 9. კინოკომედია „აფონიას“ რეჟისორი; 10. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 12. ქალაქი, რომელიც ორ კონტინენტზეა განლაგებული; 16. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 17. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენი; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 22. მოწინააღმდეგე კამათში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სიტე; 2. ოდა; 3. კატალოგი; 4. პო; 5. ბირთვისი; 6. ჯაკო; 7. ფარღული; 10. ბელი; 11. ჩოჩიშვილი; 12. პარიტეტი; 13. ცემი; 16. მართვე; 18. ღვეზელი; 13. სკივრი; 21. გრევე; 24. რევიუ.

**თარაზულად**: 1. სოპრანო; 3. კანაპე; 8. აილამა; 9. ტაბუ; 14. ფლორა; 15. თელავი; 17. რენო; 20. გუშაგი; 22. სევრი; 23. კატარი; 25. ჩაი; 26. თორი; 27. აზია; 28. ვაშლოვანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ქედანი; 2. ხუცესი; 3. რიალი; 5. ხოტი; 6. რიშარი; 8. ესკიმო; 11. თეოდოლიტი; 13. პანტერა; 14. სუმატრა; 15. ფილიპსი; 19. ბორა.

**თარაზულად**: 1. ქვანახშირი; 4. სამხარი; 7. დარნიცა; 9. ლუქსორი; 10. ათოსი; 12. ერისთავი; 16. გოზინაყი; 17. ინდოეთი; 18. დარბაზობა; 20. ტელფერი; 21. ლალი; 22. ჩასპანდი.

# გენო კალანდია გარდაიცვალა

პოეტი გენო კალანდია 77 წლის ასაკში გარდაიცვალა.
ინფორმაცია რეჟისორმა ქეთი დოლიძემ გაავრცელა:

– გენო კალანდია წავიდა.... რა სამწუხაროა! გენო ბატონო! ღმერთმა გაანათლოს თქვენი სული! რა ტკივილი წაგვყვათ თან!!!! მუდამ დიდი სიყვარულით გაგიხსენებთ, ძალიან დაგვაკლდებით!



კიდევ ერთი გული გაჩერდა მშობლიური სახლის მონატრებით დათუთქული!!!!

პოეტი საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო და წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. იგი იყო აფხაზეთის გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, აფხაზეთის გათავისუფლების პარტიის წევრი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე და საქართველოს პარლამენტის წევრი.

გენო კალანდია საქართველოს სახელმწიფო პრემიას ფლობდა. მისი ლექსები წლების განმავლობაში სხვადასხვა გამოცემებში იბეჭდებოდა.

პოეტის 75 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში აღინიშნა, სადაც გენო კალანდიას მრგვალი თარიღი კოლეგებმა, მეგობრებმა და ერთგულმა მკითხველებმა მიულოცეს.

# იქს ფაქტორის წამყვანები ვანიკო და რუსკა იქნებიან



იქს ფაქტორის მეოთხე სეზონის წამყვანები ვანიკო თარხნიშვილი და რუსკა მაყაშვილი იქნებიან. ინფორმაცია და მათი ერთობლივი ფოტო მუსიკალური შოუს ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა.

იქს ფაქტორის პირველი სეზონის წამყვანები იყვნენ გეგა ფალავანდიშვილი და ია სუხიტაშვილი, მეორე სეზონს მსახიობები რუსკა მაყაშვილი და გიორგი ყიფშიძე უძღვებოდნენ, მესამე სეზონში გიორგი ყიფშიძე მსახიობმა ერეკლე გეწაძემ შეცვალა, მეოთხე სეზონს კი ვანიკო თარხნიშვილი და რუსკა მაყაშვილი გაუძღვებიან.

გადაცემის ჩაწერები დიდ საკონცერტო დარბაზში 18 მარტიდან დაიწყება, ტელევიზიით კი აპრილიდან გავა.

ვინ იქნებიან ჟიურის წევრები, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა შოუს პროდიუსერებმა პირობა დადეს, რომ მათ ვინაობას მაყურებელი ძალიან მალე გაიგებს. სამი სეზონის განმავლობაში იქსფაქტორელებიდან საუკეთესოებს არჩევდნენ სოფო ნიჟარაძე, თამთა გოდუაძე, სოფო ტოროშელიძე, სტეფანე, გიორგი გაბუნია, ანრი ჯოხაძე, ნინა სუბლატი და ნიკა გვარამია. სამივე სეზონის უცვლელი ჟიურის წევრი, ჟურნალისტი გიორგი გაბუნიაა. იქნება თუ არა იქს ფაქტორის მეოთხე სეზონის ჟიურიში ჟურნალისტი, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

რაც შეეხებათ გამარჯვებულებს, შოუს ქართული ანალოგის არსებობის განმავლობაში პროექტი სამჯერვე ბიჭმა კონკურსანტებმა მოიგეს – თორნიკე ყიფიანმა, გიორგი ნაკაშიძემ და ავთო აბესლამიძემ. მაყურებელი იმედს გამოთქვამს, რომ მეოთხე სეზონის გამარჯვებული გოგონა გახდება.




# ანრი ჯოხაძემ დაგეგმილი კონცერტები ჩაშალა

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ დაგეგმილი კონცერტები ჩაშალა. მიზეზი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებია.

გავრცელებული ინფორმაციით, ანრის ბოტკინი აქვს და უცხოეთში გამგზავრება ამ ეტაპზე არ შეუძლია.

ქუთაისში დაგეგმილი კონცერტი საერთოდ ჩაიშალა, 19 მარტს გერმანიაში დაგეგმილი კონცერტი კი გადაიდო.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– სამწუხაროდ, ჩემი ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მიუნჰენში დაგეგმილი კონცერტი, რომელიც 19 მარტს უნდა გამართულიყო, გადაიდო 23 აპრილისთვის, ყველას ბოდიშს გიხდით, რომ ასე გამოვიდა, მიყვარხართ და გელით 23 აპრილს. შეხვედრამდე!

# „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭოს“

ამ ინიციატივით დეკანოზი ილია ჭიღლაძე გამოდის და გული წყდება, რომ „დედა ენის“ შემქმნელის ღვაწლი სათანადოდ არ არის დაფასებული.

**დეკანოზი ილია ჭიღლაძე:**

– ვფიქრობ, ყველაზე დიდი ქართველი, რომელიც გორის რაიონმა საქართველოს მისცა, დიდი იაკობ გოგებაშვილია, ამაში მხოლოდ სტალინისტები თუ შემედავებიან, ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი, „დედა ენის“ შემოქმედი, ილიას, აკაკის და ვაჟას შემდეგ ყველაზე მონუმენტური ფიგურა მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის დამდეგის საქართველოსი. სამწუხაროდ, ვერაა მისი სახელი სათანადოდ დაფასებული საქართველოში და კერძოდ, ქალაქ გორში.



ქალაქში მისი სახელობის მხოლოდ ერთი პერიფერიული ქუჩაა, სადაც ასფალტის საფარი პირველად ამ ათიოდე წლის წინ თუ დაიგო. სამწუხაროდ, მის სახელს არ ატარებს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ჯერჯერობით არავის სახელს არ ატარებს, რაც, ვფიქრობ, ანომალიაა.

უნივერსიტეტი დაარსდა სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის ბაზაზე 1990-იან წლებში, ის კი, თავის მხრივ, დაარსდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე 1980-იან წლებში. მაშინ მთელს რესპუბლიკაში კარგად ცნობილი პედაგოგიური ინსტიტუტი ასევე ანომალიურად ატარებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს.

ეს მცირე ბიუსტი ამ რამდენიმე წლის წინ მოიპარეს, თუმცა მალევე იპოვეს და დააბრუნეს თავის ადგილზე. გორში, მდინარე ლიახვის ხიდთან, საბჭოთა დროს იყო ლენინის მონუმენტური ძეგლი, რომელიც 1990 ან 1991 წელს აღებულ იქნა, იმავე პერიოდში იქ დაიდგა ქვის ფილა წარწერით: აქ აღიმართება იაკობ გოგებაშვილის ძეგლი. თუმცა მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ამ ადგილზე გორის საპატრულო პოლიციის შენობა წამოიმართა, გოგებაშვილის ძეგლის დადგმა კი განუხორციელებელ იდეად დარჩა...

მის დასაფასებლად ის მაინც შეძლონ გორელებმა, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი სახელი მიენიჭოს...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# კატის თვალის სინდრომიანი გოგონა მოდელი გახდა



ამერიკის ქალაქ სიეტლის მცხოვრებმა გოგონამ, რომელსაც კატის თვალის სინდრომი აქვს, მონაწილეობა მიიღო ჟურნალ Magazine-თვის გამართულ ფოტოსესიაში.

აღნიშნული ფოტოსესია ფოტოგრაფმა ნიკ ნაიტმა განახორციელა. მას სურათები გადაღებული აქვს ისეთი ცნობილი სახეებისთვის, როგორებიც არიან კეიტ მოსი, კანიე უესტი და ლედი გაგა. პროექტში მონაწილეობისთვის კეიტლინ სტიკელსმა დიორის კაბა ჩაიცვა. გამოცემაში ასევე გამოქვეყნდა სტატია მოდელზე.

– ვერასოდეს ვიოცნებებდი ნიკ ნაიტთან მის სტუდიაში მუშაობაზე, – განაცხადა სტიკელსმა. გოგონამ აღიარა, რომ ის ყოველთვის იყო დაკავებული შემოქმედებით მხოლოდ საკუთარი თავისთვის, მაგრამ ახლა უკვე პროფესიონალურ პროექტში მონაწილეობამ მისი ჰობი ახალ დონეზე აიყვანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

### ნათელა ბუჭუხიშვილი-ტეფნაძის სევდიანი მონატრება



შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილიანი და მწუხარებით სავსე 40 დღე გავიდა. ძალიან ძნელია შენზე წარსულში საუბარი. შენ ხომ უხვად იძლეოდი იმ მაგალითს, როგორი უნდა იყოს მოსიყვარულე დედა, ერთგული მეუღლე და მზრუნველი ბებია. იყავი ძალიან ტკბილი, ოჯახის მოყვარული ქალი, შენ შექმენი ოჯახი შენს მეუღლე ავთანდილ ტეფნაძესთან ერთად, სამი შვილი აღზარდეთ სანიმუშოდ, რომლებიც ისე აგრძელებენ ცხოვრებას, როგორც თქვენ შეგეფერებათ.

„ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“. შენი შვილიშვილები სულ იხსენებენ, როგორ ანებივრებდი და ესიყვარულებოდი მათ.

გვჯერა, შენი სული უფლის სასუფეველშია და იქიდან ლოცულობ შენთვის ძვირფასი ადამიანებისთვის.

**ნატო, შორენა და იზა**

### სოსო ციკოლიას გახსენება

24 წელი გვაშორებს იმ ავადმოსაგონარ დღეს, როცა ჩვენი სოსო გმირულად დაიღუპა გუმისთის ხეობაში.

ჩვენი სახელოვანი წინაპრების მსგავსად, ისიც სიმღერით შეხვდა სიკვდილს.....

ჩვენო სოსო!

გვახსოვხარ! გვენატრები! გვიყვარხარ! ვამაყობთ შენით!

**ახლობლები**

ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირი „დიოსკურია-2005”-ის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირი „დიოსკურია-2005”-ის საპატიო პრეზიდენტის, ბატონ შაქრო ილიას ძე კვირკვიას ძმა, სოფლის მეურნეობის ღვაწმოსილი მუშაკი

### გიორგი (ჟორჟი) ილიას ძე კვირკვია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კავშირი „დიოსკურია-2005”-ის პრეზიდიუმის სახელით სერგო წურწუმია, ვაჟა ეგრისელი, ნუგზარ ნადარაია, გიორგი გვაზავა, ვახტანგ ყოლბაია, დავით გვაძაბია, თემურ მურღულია, ჯემალ წურწუმია, რომან ზარანდია, ავთანდილ ხაზალია, გურამ კუპატაძე, როლანდ გვარამაძე, უშანგი მოსიაშვილი, ნიკო ხერკელაძე, ანზორ ჯაფარიძე, ნოდარ ბოლოთაშვილი, სიმონ ზაქარაია, მამა დიმიტრი ჩოხელი, მამა ამირან ამირანაშვილი.

**დაკრძალვა** ხობის რაიონის სოფელ ხეთაში 19 მარტს, კვირას, 15 საათზე.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

ხუთშაბათი 16 მარტი

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **15.00, 03.20** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**ნაიარევი სახე**" (ალ. პაჩინო)

**08.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **09.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "კლიფ ისტვუდი-მოხალისე მსროლელი" **11.35** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი** " **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**სასიკვდილო რბოლა 2**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**მოჩვენებათა ქალაქი**" **02.25** დ/ფ "JAY-Z" (ტიტ.) **04.10** მხ/ფ "**სიყვარული და ღირსება**"

**06.00, 16.55** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** განსხვავებული აქცენტები **22.30** ქ. მხ/ფ P.S. მხ/ფ, კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო, სეზონი**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** მხ/ფ "**ძველი მეგობრები**" **22.30** მხ/ფ "**ქორწინების ლიცენზია**" **00.00** 18+ **01.00** მხ/ფ "**ტოსკანის მზის ქვეშ**"

**06.15** სჯანი-"პაპო-ცეზარიზმი და ცეზარო-პაპიზმი" **06.40** პატერიკი **06.45** დ/ფ "ახალმოწამე გრიგოლ ფერაძე" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **1** სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "უინძორების სასახლე" **16.45** ქრისტიანული ხელოვნება "ქართული ჭედური ხელოვნება" **2** ნაწ. **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** წმინდანები "წმ. მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი-ქართლის კათალიკოსი" **19.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "დედებს შვილები იესოსთან მიჰყავთ" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** შარავანდედი-"ავტოკეფალიის აღდგენა, გიორგიIII" **21.30** დიდ ხარ შენ უფალო...მოსეV ნაწ. **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ქართული ტაძრები, რომელსაც სომხები გვედავებიან" **2 00.30** დ/ფ "საქართველოს ისტორია-დამოუკიდებლობის აღდგენა" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 1.30** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**ვერონიკა**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.5052

ევრო — 2.6735

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0609

100 რუსული რუბლი — 4.2372

**ამინდის პროგნოზი 16 მარტისთვის**







## 10 მარტიდან

120 ამბავი

**ალექსანდრე მაკედონელი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

**დასახვრეტი საქმე**




წიგნში საბჭოთა საქართველოს მიერ საქმის ორგანიზატორად შერაცხული და დახვრეტილი ბერი თეოდორეს ქალიშვილი, ეკა ჩიხლაძე მოგვითხრობს თვითმფრინავის ბიჭების შესახებ, რომელთა ქმედებისა და დასჯის მიმართ დღემდე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

წიგნში გაეცნობით „შავი ყუთის“ შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვა.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**




## 17 მარტიდან

მიხეილ კვესელავა

**ნიურნბერგის პროცესი**

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## თორნიკე ოქრიაშვილს ჯვარედინი იოგები აქვს დაზიანებული



საქართველოს ნაკრების და რუსული კრასნოდარის ფორვარდმა თორნიკე ოქრიაშვილმა მოსკოვის ლოკომოტივთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო.

ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და ოქრიაშვილს ჯვარედინი იოგები აქვს დაზიანებული. თორნიკემ სოციალურ ქსელში სურათიც გამოაქვეყნა, სადაც ის ეტლით და ყავარჯნებით გადაადგილდება.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ოქრიაშვილი სერბეთის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრას გამოტოვებს, რაც საქართველოს ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

საქართველო–სერბეთის შეხვედრა 24 მარტს გაიმართება.

## ინტერს ანხელ დი მარიას ყიდვა სურს



მილანის ინტერს ზაფხულში შემტევი ნახევარმცველის ყიდვა სურს.

მილანური კლუბი რამდენიმე ვარიანტს განიხილავს, აქედან ერთ-ერთი პსჟ-ს არგენტინელი ვინგერი ანხელ დი მარიაა.

დი მარია ზაფხულში პსჟ-ს დატოვებას აპირებს, ამიტომ მისი ტრანსფერი ინტერში რეალურია.

დი მარიას ყიდვა ინტერს, სავარაუდოდ, საკმაოდ ძვირი დაუჯდება, თუმცა კონკრეტულ ფასზე ჯერჯერობით საუბარი არ მიმდინარეობს.

პსჟ-ში გადასვლამდე დი მარია მადრიდის რეალის, იქამდე კი ლისაბონის ბენფიკას ღირსებას იცავდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



თვითმფრინავის ბორტგამცილებელმა გოგონამ შენიშნა, რომ ერთ-ერთი მგზავრი მამაკაცი ერთიანად ოფლად იღვრება, კანკალებს და ფრჩხილებს იჭამს. გოგონა მამაკაცს ეკითხება:

– ერთი ჭიქა კონიაკი ხომ არ მოგიტანოთ? დაგაწყნარებთ.

მცირე ყოყმანის შემდეგ მამაკაცმა უპასუხა:

– კარგი...

გარკვეული დროის შემდეგ ბორტგამცილებელი ხედავს, რომ მამაკაცი კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია:

– მეორე ჭიქა მოგიტანოთ?

მამაკაცმა ხმის ამოუღებლად დაუქნია თავი.

როდესაც მგზავრს მესამედ ჩაუარა, შეინიშნა, რომ ის ქვითინებს. გაკვირვებული ეუბნება:

– პირველად ვხედავ, რომ ადამიანს ასე ეშინოდეს ფრენის.

– ფრენის კი არ მეშინია, ვცდილობ, სმას დავანებო თავი!

●●●

ქმარმა გადაწყვიტა, უნიტაზის საჯდომი შეეღება. შეღება, თვითონ კი ბაღში წავიდა ლუდის დასალევად. სამსახურიდან სახლში დაბრუნებულმა ცოლმა ვერ შენიშნა, საჯდომი რომ შეღებილი იყო, დაჯდა ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და მიეწება. სახლში დაბრუნებულმა ქმარმა ცოლი ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოაჩინა, სხვა რა გზა ჰქონდა, უნიტაზს საჯდომი მოხსნა, ცოლს პალტო მოახურა და ისე წაიყვანა ექიმთან. ადგილზე მისულმა ცოლი ექიმისკენ ზურგით დააყენა, პალტო აუწია და ეკითხება:

– ექიმო, ოდესმე ასეთი რამ თუ გინახავთ?

– საერთოდ, ბევრჯერ, მაგრამ ჩარჩოში ჩასმული პირველად!

●●●

ორი დაქალი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემმა ქმარმა ერთი თვის წინ წიგნი მაჩუქა, „როგორ გავაკეთოთ ფულის ეკონომია“.

– მერე, გამოგადგა?

– აბა რა, ქმარმა სიგარეტს თავი დაანება, სამსახურში ფეხით დადის და წონაში უკვე 10 კილოგრამი აქვს დაკლებული.

●●●

გენიოსებს სიცოცხლეში ყოველთვის არ აღიარებენ, სამაგიეროდ, სულელებს ამ მხრივ პრობლემა არ აქვთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## მარკ ცუკერბერგი მეორედ გახდება მამა



სოციალური ქსელის ფეისბუქის დამაარსებელმა მარკ ცუკერბერგმა განაცხადა, რომ ის და მის მეუღლეს პრისცილა ჩანს მეორე შვილი ეყოლებათ.

ცუკერბერგმა დააზუსტა, რომ მას და ჩანს მეორე გოგონა ეყოლებათ.

– მე და პრისცილა სიხარულით გაცნობებთ, რომ კიდევ ერთი გოგონას დაბადებას ველოდებით, – დაწერა მილიარდერმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე.

ამასთან ცუკერბერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველ ბავშვზე მძიმე მშობიარობის შემდეგ წყვილი არ იყო დარწმუნებული, რომ კიდევ ერთი შვილის გაჩენას შეძლებდნენ.

– როდესაც შევიტყვეთ, რომ პრისცილა ისევ ფეხმძიმედ იყო, პირველი, რისი იმედიც გვქონდა, იყო ის, რომ ბავშვი ჯანმრთელი იქნებოდა. შემდეგ ვიმედოვნებდი, რომ ის გოგონა იქნებოდა. იმაზე დიდ საჩუქარზე ვერც ვიოცნებებდი, ვიდრე და იქნება მაქსისთვის, – დაამატა ცუკერბერგმა.

შეგახსენებთ, რომ წყვილს პირველი გოგონა 2015 წლის 2 დეკემბერს შეეძინათ.

## მაილი საირუსმა და ლიამ ჰემსვორთმა საიდუმლოდ იქორწინეს



მსახიობი და მომღერალი მაილი საირუსი ფარულად გაჰყვა ცოლად მსახიობ ლიამ ჰემსვორთს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ზოგიერთი გამოცემები საირუსის მამის მიერ ინსტაგრამში გამოქვეყნებული შეტყობინებებიდან,

მუსიკოსმა ბილი რეი საირუსმა გამოაქვეყნა თეთრ კაბაში გამოწყობილი თავისი ქალიშვილის ფოტოსურათი.

– შენ ბედნიერი ხარ... მე ბედნიერი ვარ, – დაწერა სურათისთვის თანდართულ კომენტარში.

ამ კომენტარს ინტერნეტ-მომხმარებლების მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა, რომლებიც დაინტერესდნენ, საირუსმა და ჰემსვორთმა მალულად ხომ არ იქორწინეს და მისალოცი კომენტარებიც კი დაწერეს.

ჯერჯერობით საირუსისა და ჰემსვორთის მხრიდან საპასუხო კომენტარები არ გაკეთებულა.

## უილ სმიტი 100 მეტრის სიმაღლის ჩანჩქერიდან გადმოხტა



ამერიკელი მსახიობი უილ სმიტი ბანჯი-ჯამპინგითაა გატაცებული. მან ამისთვის აფრიკაში ჩანჩქერი ვიქტორია ამოირჩია, რომელიც ზამბიისა და ზიმბაბვეს საზღვარზე მდებარეობს.

მსახიობს ფეხებზე გრძელი და ელასტიური თოკი მიაბეს, რის შემდეგაც ის გადახტა ხიდიდან, რომლის დროსაც ხელში პატარა კამერა ეჭირა.

– ეს შთამბეჭდავი კადრი იქნება, – წარმოთქვა სმიტმა, როდესაც ის უკვე თოკზე თავდაყირა ეკიდა და ქანაობდა. მან ასევე დაამატა, რომ 20 წელი ამ ნახტომის შესრულებაზე ოცნებობდა.

ვიქტორია – ერთადერთი ჩანჩქერია მსოფლიოში, რომლის სიმაღლე 100 მეტრს აღემატება, ხოლო სიგანე კილომეტრს. ის აფრიკის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსშესანიშნაობად ითვლება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ტბა, საიდანაც სათავეს იღებს მდინარე ქსანი; 2. ხვეწნა, მუდარა; 3. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 4. იაპონური ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 5. ფრანგული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია; 6. აფრიკული მოლაპარაკე თუთიყუში; 7. ახალი ზელანდიის აღმომჩენი ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 10. ფულის ერთეული არგენტინაში; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 12. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 13. მდგომარეობა ჭადრაკში; 16. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 18. კვიპროსის დედაქალაქი; 19. გია დანელიას კინოკომედია; 21. მტაცებელი ფრინველი; 24. ჰოლანდიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 3. მოდუღებული ყურძნის წვენი; 8. უნივერსიტეტი მადრიდში; 9. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 14. მდინარე ბერლინში; 15. ზამბარიანი მოწყობილობა აკრობატული ხტომებისთვის; 17. უსახლკარო, ღარიბი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 20. გეომეტრიული ფიგურა; 22. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 23. სველ კედელზე შესრულებული ნახატი; 25. უკრაინული ბორშჩი; 26. რძის პროდუქტი; 27. საცხენოსნო შეჯიბრება; 28. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი